# სიმართლისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან


## არ შედრკე, ხელისუფლებავ!

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გასვრა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 17 აპრილი. 2024 წელი №46 (9726) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




## ③ შეტევა „ქართულ ოცნებაზე“ მგლის ხროვის პრინციპით!



სალომე ლაზარიადისი

## წელიწადი ლაზარეღან ლაზარემდე

## ხელისუფლება გამჭვირვალობის მაგალითია!

მაშინ, როდესაც ხელისუფლება თავად აჩვენებს გამჭვირვალობის მაგალითს და ქვეყნდება მთავრობის ყველა გადაწყვეტილება თუ სამართლებრივი აქტი, გაუგებარია, რატომ არის მიუღებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.



„შეხვედრა მქონდა საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რობინ დანიგანთან, ევროკავშირის ელჩთან პაველ ჰერჩინსკისთან და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მარკ კლეიტონთან. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი განვიხილეთ. აღვნიშნე, რომ კანონი სრულად შეესაბამება ყველა ძირითად სამართლებრივ პრინციპს და ის ემსახურება ერთადერთ მიზანს – არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი მედიასაშუალებების ფინანსების ყოველწლიურ გასაჯაროებას.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დავადასტურე ხელისუფლების სრული მზადყოფნა კანონთან დაკავშირებით ღია დისკუსიისთვის, რათა ქართველ საზოგადოებას და საქართველოს მეგობრებს არცერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეთ“...



იხ. 6 გვ.

### პეტრე მამრაძე:

## დაყოფილი საზოგადოება მოიკითხონ შეერთებულ შტატებში, სადაც მოსახლეობის 36 პროცენტი დღესაც არ აღიარებს ტრამპის წაგებას...

# საქართველოში დღეს არავითარი პოლარიზაცია არ არის!

### მავნებლის

## მავნებლური აზრი:



„ივანიშვილმა მკვეთრად გაზარდა პოლიციის რაოდენობა, უკეთესად დაატრენინგა და ხელახლა გამოუცხადა ომი ქართველ ხალხს. ასეთ პირობებში ერთადერთი გამოსავალი საპროტესტო აქციებზე ხალხის რაოდენობის გაზრდა და მჭიდრო კოორდინაციაა. მთავარია, არ დავიღალოთ და არ შეგვეშინდეს! საქართველოს ბედი წყდება და სახლში დარჩენა დანაშაულია!..“

## ამ სიტყვებისთვის ტუსაღ მიჰას სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს!

„ჩამომალა-ბორანტეს“, „მეაკვანოს“, „შრომაღამე“ – სიტყვის დიდოსტატთა მიერ მოგონილი სიტყვები

## „[illegible]“...




იხ. 7 გვ.

### შალვა პაპუაშვილი:

## მთავარია, რას ამბობს ქართველი ხალხი!



**ჩვენ ბოლო 30 წელია, ერთი რამ ვიცით, მთავარია, რას ამბობს ქართველი ხალხი და არა ის, რას გვეუბნება ესა თუ ის ადამიანი,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა.

პაპუაშვილის თქმით, საზოგადოება გუშინ დარწმუნდა, რომ არის მცდელობა, ყვირილით გადაიფაროს მსჯელობა.

**„ჩვენ ახლა ვართ ქართულ საზოგადოებაზე დეზინფორმაციული შტურმის მოწმე, სადაც კვლავ ცდილობენ, სლოგანებით, ლოზუნგებით, დოგმებით ჩაახშონ საღი აზრი. დოგმატიზმია, როდესაც, არგუმენტების წარმოდგენის ნაცვლად, მოსაზრება მიეყიდება საზოგადოებას, როგორც არგუმენტი. ჩვენ რასაც ვისმენთ – რუსული კანონი და ასე შემდეგ – ეს ყველაფერი არის დოგმით მსჯელობა, როდესაც აღარ შემოდიან არგუმენტში. გუშინ ცხრა საათის განმავლობაში მამუკა მდინარაძე სვამდა მთავარ კითხვას. ვინაიდან, იმისთვის, რომ გამოავლინო დოგმატური არგუმენტები და დოგმატიზმი, არსებობს ერთი მარტივი ხერხი, ეს არის მარტივი კითხვა: რატომ? ამ კითხვაზე როდესაც არ არის არგუმენტირებული და ლოგიკური პასუხი, ესე იგი ჩვენ საქმე გვაქვს დოგმასთან, რწმენასთან, რომელიც უნდათ, წარმოადგინონ, როგორც არგუმენტი.**

**გუშინ დაისვა კითხვა: რატომ? – და ვერ გასცეს პასუხი. საქმე გვაქვს დოგმებთან. პასუხი იყო, რომ უცხოეთში ვიღაცას არ მოსწონს, ბრიუსელი და ვაშინგტონი ხომ გეუბნებიან, რომ არა. ამ ქვეყანას გამოვლილი აქვს სხვადასხვა ეტაპი თავის ცხოვრებაში და ამ ხალხსაც გამოვლილი აქვს სხვადასხვა ეტაპი. ჩვენ, ბოლო 30 წელია, ერთი რამ ვიცით, მთავარია, რას ამბობს ქართველი ხალხი და არა ის, რას გვეუბნება ესა თუ ის ადამიანი. როდესაც ვსაუბრობთ უცხოელ აქტორებთან, იქაც დოგმატური არგუმენტი გვაქვს, რომ ვეკითხებით, რატომ არ უნდა მივიღოთ, იმიტომ, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილს არ უნდა. ვეკითხებით საზოგადოების ამ ნაწილს, რატომ არ გინდათ, რადგან უცხოელები გვეუბნებიან, არ მიიღოთო. ასეთი ურთიერთმითითება მიდის. შეგახსენებთ, ზუსტად იგივე ხერხი იყო გამოყენებული ე.წ. ვეტინგის დროს. ვეკითხებით არასამთავრობო სექტორს, რატომ უნდა იყოს, გვეუბნებიან, რომ უცხოეთიდან გვეუბნებიან, ჩაატარეთო. ვეკითხებით უცხოელებს, რატომ უნდა ჩავატაროთ, იმიტომ, რომ თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენო.**

**სინამდვილეში, არის მცდელობა, რომ ჩვეულებრივი დოგმატიზმით აუკრძალონ საზოგადოებას აზროვნება. ვხედავთ, რომ საზოგადოებამ ეს ეტაპი გაიარა და ძალიან კარგად ხვდება, რომ მსჯელობის ალტერნატივა არ არსებობს. დოგმებით საუბარი და მსჯელობის ჩახშობა აღარ გამოუვათ“!..**

## ყველაზე მარტივია, NED-ის ყველა პროექტი გაასაჯაროონ!... რატომ არის საჯაროობის შიში?

**ყველაზე მარტივია, რომ „დემოკრატიის ეროვნული ფონდის“ (NED) ყველა პროექტი გაასაჯაროონ. ხომ ყველაფერი გამჭვირვალეა? ხომ ამბობენ, რომ ქართველი ხალხის სიკეთისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს, არაფერი დასამალი არაა და ეს მეგობრული ფულია. რატომ არის საჯაროობის შიში?** – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან ექვსი განცხადების გაკეთების ნაცვლად, უფრო მარტივი იქნებოდა, გააკეთონ ის, რაც მათზეა დამოკიდებული – გაასაჯაროონ „დემოკრატიის ეროვნული ფონდის“ (NED) ყველა პროექტი.

**...ექვს განცხადებას, უფრო მარტივი არაა, თქვან, რომ ყველაფერი გამჭვირვალეა და აი, აქ დევს NED-ის დაფინანსება. რატომ არ ასაჯაროებენ? ხომ უმარტივესი კითხვაა? ხომ ყველაფერი გამჭვირვალეა? ხომ ამბობენ, რომ ქართველი ხალხის სიკეთისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს, არაფერი დასამალი არაა და ეს მეგობრული ფულია. რატომ არის საჯაროობის შიში? ეს ყველაფერი არის არა არგუმენტები, არამედ დოგმები, რომ გადაგვახვევინებს თუ არა ევროინტეგრაციის გზიდან. წარმოდგენაც კი შეუძლებელია, საერთოდ როგორ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში, რომ ასეთ მარტივ ჭეშმარიტებებზე გვიწევს საუბარი, რომ რაღაც იყოს საჯარო. გუშინ კომიტეტის სხდომაზე ხომ ვნახეთ, რომ ყველა თანხმდება, რომ უნდა იყოს საჯარო – ყველა თანხმდება, ენჯეოებიც და ოპოზიციაც. მეორე კითხვა – რატომ არ არის საჯარო? ექვსი განცხადების ნაცვლად, უფრო მარტივი იქნებოდა, გააკეთონ ის, რაც მათზეა დამოკიდებული. კანონის მიღება ან არ მიღება ხომ არ არის მათზე დამოკიდებული. მათზეა დამოკიდებული ის, რომ თქვან, ყველაფერი არის გამჭვირვალე, – აი, ეს არის NED-ის დაფინანსება. სხვათა შორის, ეს ფონდი პირადად მე რამდენჯერმე დამპირდა, რომ გაასაჯაროებდა ამას“,** – აღნიშნა **პაპუაშვილმა**.

### ნინო ნადირაძე:

## ეს ხალხი დიდ პოლიტიკას უნდა შეეწიროს!

**არავის შევეწირებით. არც თქვენ, შვილებო – არავის ფულებსა და ინტერესებს არ შეეწიროთ. დიახ, ჩვენი ყველაზე დიდი მტერი არის რუსეთი, რომელიც ყველანაირ ფორმას იღებს, ყველანაირ სახელს იწერს, ყველაფერზე მიდის იმისთვის, რომ დღეს თქვენ თქვენივე ქვეყანაში მოაწყოთ არეულობა,** – ამის შესახებ „ვივამედის“ გენერალურმა დირექტორმა, **ნინო ნადირაძემ** განაცხადა.



**„ექსპრეზიდენტთან ერთად ვიჯექი პალატაში, ტელევიზორს ვუყურებდი როგორ იბომბებოდა კიევი, გამოაცხადეს, რომ დაღუპულია 7 ადამიანი, მათ შორის ორი ბავშვი. დავიწყე ტირილი და მეუბნება – რა გატირებსო, ეს არის სტატისტიკაო, დიდი პოლიტიკა ამას მოითხოვსო. მე ვუთხარი – შენ რომ ერთი გრადუსით აგიწევს სიცხე, ლამის ციხეში გვსვამ და ის დაღუპული ვიღაცის შვილია, ვიღაცის დედაა, ვიღაცის ძმაა-თქო. ჩვენ დიდ პოლიტიკოსებს ეს ხალხი უნდა შეგვეწიროსო, ასე მიპასუხა“.**

### თეა წულუკიანი:

## ალ ქალაჩუნ ალ მუხთალ ელისუნი. ბიჯოო, ეს რა უქნა საკუთარ თავს?



**საქართველოს** კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი,** ოპოზიციონერ ალეკო ელისაშვილის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერზე, მამუკა მდინარაძეზე თავდასხმის ფაქტს სოციალურ ქსელში აფასებს.

მინისტრი აზიარებს ელისაშვილის ვიდეოს, სადაც ჩანს მისი შეცვლილი რიტორიკა არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. როგორც წულუკიანი აღნიშნავს, ელისაშვილი თავის დროზე უკრაინიდან რუსის ჯარს გამოექცა და საქართველოში შემოიძურწა.

**„ალ ქალაჩუნ ალ მუხთალ ელისუნი. ბიჯოო, ეს რა უქნა საკუთარ თავს? ასე როგორ დაესხა თავს ადამიანს, ეს ჩოხის უღირსი. გავა ოცი წელი და როგორ შეხედავ ბაბუა ამ ვიდეოს შვილიშვილებთან ერთად, მაგასაც ვნახავთ. ისე, უკრაინაში წასული დიდი ბაქიბუქით კი გამოექცა რუსის ჯარისკაცს და შემოიძურწა უკან. საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლი ლომი“.**

### კახა კალაძე:

## „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ზუსტად იმისკენ არის მიმართული, რომ ქვეყანაში იყოს სიმშვიდე

**დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას ალტერნატივა არ გააჩნია. ამის შესახებ მან მედიასთან ისაუბრა.**



როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრის „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ (IEP) მიერ გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, პოზიტიური მშვიდობის ინდექსით, საქართველო 50 საუკეთესო ქვეყანას შორის არის, სწორედ „ქართული ოცნების“ პოლიტიკით არის განპირობებული.

**„ჩვენი პოლიტიკა ზუსტად იმისკენ არის მიმართული, რომ ქვეყანაში იყოს სიმშვიდე. ხედავთ, რა ხდება მთელ მსოფლიოში, რეგიონში, როგორი დაძაბული და რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობაა. შესაბამისად, ის პრაგმატული პოლიტიკა, რომელიც აქვს „ქართულ ოცნებას“ არჩეული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და ხვალინდელი დღისთვის.**

**მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტარები და ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს გამჭვირვალობის კანონს აკრიტიკებს, მოგვიწოდებდნენ სანქციებზე მიერთებისკენ, მეორე ფრონტის გახსნაზე და ა.შ., მშვიდობის შენარჩუნება ამ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანისთვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, არის უმნიშვნელოვანესი. სწორედ ამ მშვიდობით მოვახდენთ ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას“...**

### დიმიტრი ხუნდაძე:

## სტრასბურგის დასკვნით, ჩხიკვაძის გადაწყვეტილება სამართლიანი იყო

**ქვეყნის მართვის ორი მექანიზმი არსებობს და ორივეს ინტენსიურად, მძლავრად გამოყენებას ცდილობენ საქართველოსთან მიმართებით. ეს არის სასამართლო სისტემის გარე ძალებზე ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარება და არაკეთილსინდისიერი არასამთავრობო სექტორის გავლით, შავი ფულით ქართული პოლიტიკის ფორმირება,** – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ გენერალურმა მდივანმა **დიმიტრი ხუნდაძემ** პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



ხუნდაძის თქმით, საქართველოს დასავლელი პარტნიორები ცდილობენ, ჩვენს ქვეყანასთან უფროს-უმცროსობის პრინციპით ჰქონდეთ ურთიერთობა და ამაში მათ ქართული ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორის ნაწილიც უწყობს ხელს.

**„მაღალი დონის სტატუსით. მტერთან ურთიერთობა გასაგებია – მტერი მტერია, მაგრამ, სამწუხაროა, როცა პარტნიორებთან ურთიერთობა ისევ უფროს-უმცროსობის და ისევ მოსწავლე-მასწავლებლის დონეზე არის დარჩენილი. გარკვეული ძალები ისე ურთიერთობენ საქართველოსთან, თითქოს, როცა უნდათ, ომში წაგვიყვანენ, როცა უნდათ, სანქციებში ჩაგვრთავენ ან თავად დაგვასანქცირებენ; როცა უნდათ, კანონს არ მიგვაღებინებენ და წაუკითხავად გაგვაპროტესტებინებენ და როცა უნდათ, ქუჩას შეგვიქმნიან და აგვაყირავებენ. ალტერნატივაც, აგერ, „ვივამედში“ ჰყავთ გამზადებული. მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველო, როგორც მეორადი ქვეყანა, ისე წარმოჩინდეს და გრძელვადიანად ასეთად დარჩეს. მუდმივად ცალ ფეხზე იდგეს. დაკვეთა ასეთია და ოპოზიციაში, სამწუხაროდ, ამის შემსრულებლებიც მრავლად იძებნებიან. ცდილობენ, საზოგადოების აზრი შავ ფულს დაუქვემდებარონ და ხშირად თავად საზოგადოებას მიაღებინონ მისთვისვე საზიანო გადაწყვეტილება.**

**პირდაპირ ეთერში ვნახეთ მოსამართლე ჩხიკვაძის დაბარება აშშ-ის საელჩოში თავისი გადაწყვეტილების რევიზიისათვის, იმ ფონზე, როცა სტრასბურგის სასამართლოს დასკვნით, მოსამართლე ჩხიკვაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი იყო და არავითარი ეჭვი ამაში არ არსებობდა. ვნახეთ მოსამართლეების დასანქცირებაც, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე. ახლაც, არგუმენტაციის გარეშე ვისმენთ მოთხოვნას ამ მოსამართლეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ“.**

## ჩემი შენ გითხარიო, შე მართლა იდიოტო!



**ზურაბ ჯაფარიძემ „ქართული ოცნების“ მილიონ ამომრჩეველს იდიოტი და გამოთაყვანებული უწოდა. ამის მიზეზად კახა კალაძის შეასება გამოიყენა. კალაძის ასეთი ტიპის განცხადებები არ არის პირველი და არც უკანასკნელი, ეს არის გათვლილი ქართული ოცნების მხარდამჭერების გამოთაყვანებულ ნაწილზე, რომლებიც ეგეთ რაღაცებს ჭამენ,** – ასე შეაფასა პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერმა **ზურაბ ჯაფარიძემ, კახა კალაძის** მიერ გაკეთებულ განცხადება, რომლის თქმითაც, **„იგივე ხდება დღეს ერთი ერთში, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში – მითითებები, ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამდი ცეკასთან რომ არ შეგეთანხმებინა. ჩვენ ისეთი ევროკავშირი გვინდა, სადაც არის სამართლიანობა“.**

ჯაფარიძემ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენია და მათ იდიოტები უწოდა.



# შეტევა მგლის ხროვის პრინციპით!

**კორუმპირებულ ამერიკელებს ნამეტნავად აეწვათ კუდი!**

**წელიწადი ლაზარედან ლაზარემდე**

**შარშან მარტში, როცა ლამის რევოლუციადქცეული დიდი ღრიანცელის შემდეგ ხელისუფლებამ უკან გაიწვია პანდორას ყუთი – „რუსული კანონი“ და ქვეყნის უახლეს ისტორიას ახალი გმირი შეემატა – „საქართველოს ევროპული მომავლისათვის მებრძოლი და წამებული ლაზარე გრიგორიადისი, ვინ იფიქრებდა, რომ ერთ წელიწადში იგივე განმეორდებოდა: ზუსტად, უკლებლად, ლაზარეიანად.**

ამ დღეებში ლაზარეს 9 წლით პატიმრობა მიესაჯა 2023 წლის 7-8 მარტის აქციებზე პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების – პოლიციის ავტომანქანის დაწვის ბრალდებით. დუნე მოწოდების „თავისუფლება მიშას!“ პარალელურად ისმოდა ომახიანი „თავისუფლება ლაზარეს!“, რადგან ეს თვალეზმოხატული ყმაწვილი, თურმე სისხლის სამართლის დამნაშავე კი არა, პოლიტიკური პატიმარი ყოფილა. ამაოდ გვეგონა ჟორიკა რურუას და ნიკა გვარამიას შეწყალების შემდეგ პოლიტიკური პატიმრებისგან ციხე სრულიად იყო გათავისუფლებული.

ლაზარე გრიგორიადისი სწორედაც სისხლხორცეულად შეერწყა ბედუკუღმართი კანონპროექტის ამქვეყნიურ არსებობას. იგი მარტვილობის კოეფიციენტით უმაღლეს რანგში ავიდა – პოლიტიკურ პატიმრად იქცა. ამ მცდელობამ შედეგი უკვე გამოიღო ისე, რომ ოპოზიციის ლიდერებს ნერვიულობა არც დასჭირვებიათ, ყველაფერი პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ითავა და შეასრულა მანამდე, სანამ ოჯახი მიმართავდა შეწყალების თხოვნით. **„ეს გადაწყვეტილება ამ დილით 10 საათზე მივიღე (ოჯახმა 12 საათზე მიმართა – ა.ა.), არ დაველოდე არც არავის მოწოდებას და არც რაღაც მუქარებს. ასე რომ, ვერავინ ჩაითვლის ქულებს. მე ჩემი სინდისის წინაშე ჩავთვალე, რომ არ შეიძლება ეს ახალგაზრდა 9 წლით დაისაჯოს“,** – განაცხადა ქალბატონმა სალომემ იმავე დღეს ტვ „პირველთან“ ინტერვიუში.




სალომე ლაზარიადისი

ზურაბიშვილის ამ გადაწყვეტილების შემდეგ მისმა პირადმა ფოტოგრაფმა გიორგი აბდალაძემ პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა და პოსტში განმარტა მიზეზი: „არავის პატიმრობა არ მიხარია (გიორგი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს თვითონ იყო დაპატიმრებული თითიდან გამოწოვილი ბრალდებით – **ა.ა.**), თუმცა, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის დღევანდელი გადაწყვეტილება არის ყველა იმ ადამიანის შეურაცხყოფა, ვინც სამშობლოს ემსახურება“. აი, ერთ დროს თვითონაც შეწყალებულმა, ყოფილმა ნაცმოძრაობის შლაგბაუმმა, ამჟამად ორი ნიკას „ახლის“ მეწილემ ნიკა მელიამ კი პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა „დისკრეციული უფლების სწორ დროსა და სწორი მიზნით გამოყენებისათვის“.

გრძელი ნიკასგან საკმაოდ მოულოდნელი ღრმააზროვნებაა!

ერთი სიტყვით, მმართველმა პარტიამ 3 აპრილს პარლამენტში ხელახლა დაარეგისტრირა შარშანდელი ინიციატივა, რომელსაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი ჰქვია. „ოცნების“ ლიდერების განცხადებით ახალი კანონპროექტის ტექსტი ძველის იდენტურია, ოღონდ შეცვლილია ერთადერთი ტერმინი: „უცხოური გავლენის აგენტი“ ახალ ფორმულირებაში ასეა დასახელებული – „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“. კანონს საგაზაფხული სესიის ბოლომდე ივნისის ბოლო პარასკევამდე მიიღებენ.

**როგორც მოსალოდნელი იყო, შარშან უკან გაწვეული კანონპროექტის ხელახალმა დარეგისტრირებამ პარლამენტის დარბაზი მდუღარე ქვაბად აქცია. ხათუნა სამნიძის შარშანდელი საომარი შეკივლების ექოდ „მოქალაქე“ ალეკო ელისაშვილმა იკრა სარი უკანალში, ხელები დაიკაპიწა, მამუკა მდინარაძე გამოთვალა და ეძგერა. კიდევ კარგი შუაში ჩაუდგნენ, თორემ უთუოდ რამეს მოაჭამდა. SIC! ეს სისხლმოწყურებული „მოქალაქის“ პირველი თავდასხმა იყო. დაიწყო საბრძოლო ლოზუნგების ფრქვევა: ხელები დაიკაპიწეთ და დიდი ჩხუბისთვის მოემზადეთო, „ოცნებას“ თავისი არ უნდა გავატანინოთო.**

ამ არაჯანსაღმა ჰაი-ჰუიმ ალეკოს ის დაუვიწყარი საზოგადოებრივი გმირობა გამახსენა, როცა 2020 წელს ოპოზიციამ არჩევნებში დამარცხება ცესკოს მაქინაციებს, შედეგების გაყალბებას დააბრალა და კარზე მიუხტა დიდი ღრიანცელით. ქვეყანას ახსოვს, როგორ ხტოდა ცესკოს დალეწილ ღობეზე მართალი და პატიოსანი ელისაშვილი. კარგა ხნის შემდეგ კი მოიბოდიშა, მართალი არ ვიყავიო.

**15 აპრილს პარლამენტში კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა მოეწყო და ჭირმა თავი არ დამალა. ჯერ ის, რომ ოპოზიცია შეეცადა სხდომა გალაგანისთვის დაემსგავსებინა, მეორე კი ის, რომ მანამდე მდუმარედ მჯდარი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი მოულოდნელად წამოხტა, მომხსენებელ მამუკა მდინარაძეს მიეჭრა და მუშტი გლიჯა. ატყდა ალიაქოთი. რა თქმა უნდა, თავდამსხმელს გვარიანად უთაქეს. პარლამენტიდან ოტებული არაკაცი გარეთ მომიტინგეებს შეუერთდა და „ქუდზე კაციო“ სჭექა. თან ნაზებვ და გადახურებულ თავზე ბოთლით წყალს ისხამდა!**

ქაოსისკენ მოუწოდებს ხალხს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც, „ოცნებამ“ უკვე ძალიან მკაფიოდ გააკეთა განაცხადი, ევროპას უთხრა „არა!“.. „ოცნება“ დაკავებულია ჩვენი ევროპული გზის და ჩვენი ევროპული მომავლის საბოტაჟით... ყველანი გავიდეთ არჩევნებზე ერთი ევროპული დროშით, რამდენიმე პარტიით და ამ დროშას მე დავიჭერ ხელში ბოლომდეო!..

ამ კანონპროექტზე საუბარი ნებისმიერ კანონზე უაღრესად მწვავედ და უკომპრომისოდ წარიმართა, იმდენად მწვავედ, რომ ერთმანეთს ლამის დედა აგინეს. მაგალითად, ხატია დეკანოიძემ გირჩელ იაგო ხვიჩიას „უზრდელი“ და „ნაგავი“ უწოდა. ლელოელმა სალომე სამადაშვილმა კი უმრავლესობის წევრის ბექა ოდიშარიას და გირჩელი ვახო მეგრელიშვილის ნარკოლოგიური შემოწმება მოითხოვა. სანაცვლოდ ბექამ სალომეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა დააყენა ეჭვქვეშ, როგორ შეიძლება მისი პარლამენტში ყოფნაო. სამადაშვილი „მომსახურების ზონიდან გასული“, უსამშობლო და უცხვირპირო ადამიანია, რომელიც მუდმივად საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს, ოჯახი ამან არ იცის, შვილები, მშობლები და ასე შემდეგო...

მოკლედ, შინ ხომ აირია და აირია ყველაფერი შარშანდელის მსგავსად, ხომ დაერივნენ ერთმანეთს „რუსული კანონის“ მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ის (კანონპროექტი) დიდი ხანია გასცდა ჩვეულებრივი საპარლამენტო პროექტების რიგს და ორად გაყოფილი ერის ცალკ-ცალკე ბაირაღია. ეს ბაირაღი დღეს ყველას უჭირავს ხელში, მოდი და გაიგე, ვინ ვინ არის!




ყველას გვახსოვს, რომ შარშან, კანონპროექტის დაძლევის შემდეგ, ხელისუფლება პირობას იძლეოდა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დადგებოდა.

**მაგრამ დადგა! მოულოდნელად და გაუმართლებლად. თუ რატომ მოხდა ეს, უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ მოგვიანებით ასე განმარტა: „ენჯეოების უცხოური დაფინანსება არათუ გამჭვირვალე, არამედ კიდევ უფრო გაუმჭვირვალე გახდა. მათ დეკლარაციებში არ არის მითითებული არც თანხების წარმომავლობა და არც მიზნობრიობა. არადა, მიღებული თანხები უმეტესად პარტიული საქმიანობისთვის გამოიყენება. არასამთავრობო ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე, მათ რადიკალურ პოლიტიკურ დღის წესრიგზე კი დღემდე არცერთ დამფინანსებელს არ აუღია პასუხისმგებლობა“.**

აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლების მიერ შარშან გაწვეული ინიციატივის წლეულს შემობრუნებას რაღაც სერიოზული საფუძველი აქვს, სხვანაირად ეს ხელახალი გათვლებისა და გამოწვლილვითი გაანგარიშებების მოყვარული პარტია ასეთ თავსატეხს არ გაიჩენდა.

ეს გვაიმედებს, ოღონდ, აქამდე „ოცნებამ“ მხოლოდ ის მოახერხა, რომ თვით პარლამენტში ოპოზიცია უკვე ნაკლებად ხმარობს „რუსულ კანონს“, გარეთ კი, საზოგადოების ოპოზიციურ ნაწილში ეს ტერმინი მაინც ყველას პირზე აკერია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველა მშვენივრად ხვდება, რომ არავითარი „რუსული“ ის არ არის, ასეთივე წარმატებით მას შეიძლება „ამერიკული“ ან „ფრანგული“ ვუწოდოთ... კი ბატონო, მაგრამ – არა „რუსული“...

დასავლეთმა კატეგორიულად ბრძანა: „აგენტების“ ეს კანონი არა და არ უნდა მიიღოთო!..

**აშშ ელჩმა დეგნანმა, აქამდე რომ მხოლოდ თეთრი კბილების ელვარებით გვიბამდა თვალს, უცებ ავად შეკრა წარბი: შეშფოთებულები ვართ, რომ კანონპროექტი საქართველოს ევროპული გზიდან გადახვევას გამოიწვევს... როცა კანონპროექტი გაქვთ, რომელზეც დასავლელმა პარტნიორებმა შეშფოთება გამოხატეს, თქვენი ოკუპანტი კი მიესალმა, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ, არის თუ არა ის კარგი თქვენი ქვეყნისთვის...**

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი უფრო კატეგორიულია: „პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი საქართველოს ჩამოაცილებს ევროპის გზას. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, რომ მიჰყვეს ევროკავშირის მისწრაფებებს“. უმალ შემოჰკრა საგანგაშო ზარს 22-მა ცნობილმა ევროპარლამენტარმა (მირიამ ლექსმანმა, ვიოლა ფონ კრამონმა, ანა ფოტიგამ, ანდრიუს კუბილიუსმა, რასა იუკნევიჩიანემ და სხვ.). რუსული სტილის „აგენტების კანონი“ თავდასხმაა საქართველოს დემოკრატიაზეო, ქუხს ოპოზიცია.

**ასეთ მღელვარე დროს ენა მუცელში ჩაგვაგდებინა გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის წელსქვემოთ დარტყმამ. პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის გერმანიაში ვიზიტისას, ბრიფინგზე მან მიუკიბავ-მოუკიბავად განაცხადა, მთელი ევროკავშირი ძალიან კრიტიკულად ვუყურებთ ეგრეთწოდებულ აგენტების კანონს, დიდი იმედი გვაქვს, რომ მას არ მიიღებს საქართველო.**

საპასუხოდ ჩვენმა პრემიერმაც ასეთივე პირდაპირობით განაცხადა, სრული უფლება გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებს გამჭვირვალობისთვის მინიმალური სტანდარტი მოვთხოვოთო, დარწმუნებული ვართ, აღნიშნული კანონი ხელს შეუწყობს ძლიერი, დასაბუთებული, ფუნდამენტური დემოკრატიის ჩამოყალიბებასო...

მაგრამ ორი აზრი არ არსებობს: ჰერ შოლცის ნათქვამმა მეორე სუნთქვა გაუხსნა ქართულ ოპოზიციას. ეს კარგად ჩანდა პარლამენტში კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაზე, სადაც უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე ლომივით კი იცავდა კანონპროექტს, მაგრამ ოპოზიციაც მგლის ხროვის პრინციპით უტევდა.

**ასე რომ, წინ დიდი ჯახაჯუხი და ვაი-უშველებელი გველის. იმედია, ამ სეტყვის ჟამს ისიც გამოჩნდება, „ქართულ ოცნებას“ რისთვის დასჭირდა ზეწოლით გადადებული კანონპროექტის შემობრუნება, რა კოზირი უჭირავს ხელში?**

**ალეკო ასლანიშვილი**



საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება

# ხელისუფლების ლიდერები და ელჩები ქართველ ხალხს ღიად უნდა ელაპარაკებოდნენ!

**საქართველო აფასებს და უფრთხილდება ურთიერთობებს პარტნიორ ქვეყნებთან. ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტის – ევროკავშირში ინტეგრაციის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, მათ შორის ელჩებთან თანამშრომლობა და მათი მოსაზრებების მოსმენა ჩვენთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია.**

**ჩვენ ვაფასებთ მოქმედი ელჩების ყველა მხარდამჭერ ნაბიჯსა და განცხადებას, რომელიც საქართველოს საერთაშორისო პოზიციების გამყარებისკენ არის მიმართული. შესაბამისად, მათ ყველა საფუძვლიან რჩევასა და რეკომენდაციას მომავალშიც განსაკუთრებული გულისხმიერებით მოვეკიდებით.**

**საქართველოში უკანასკნელ წლებში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, უცხოელი დიპლომატები კვლავაც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ დებატებში.**

**ისინი განსაკუთრებით ინტენსიურად ცდილობენ, შეითავსონ კანონმდებლის ფუნქცია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კანონშემოქმედებით პროცესში და წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმთავრეს ორგანოს – ქართველი ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს უკარნახონ, რომელი კანონი მიიღოს და რომელი არა.**

**მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ოპოზიციის ჩანაცვლების ეს პრაქტიკა დიპლომატიის სტანდარტებს არ შეესაბამება, ოპოზიციის პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსების სიმწირის გათვალისწინებით, ჩვენ მას გარკვეულწილად გაგებით შეგვიძლია მოვეკიდოთ.**

**თუმცა, გაგებით ვერ მოვეკიდებით ასევე ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას, როდესაც უცხოელი დიპლომატები დახურულ კარს მიღმა ჩვენს არგუმენტებს არგუმენტებით ვერ პასუხობენ და საჯარო სივრცეში საფუძველს მოკლებულ პოლიტიკურ განცხადებებს მაინც აკეთებენ.**

**გასული დღეების განმავლობაში, მოვისმინეთ რამდენიმე უცხოელი დიპლომატის კრიტიკული განცხადებები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით. ისევე, როგორც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების გზავნილები, ეს განცხადებებიც მოკლებული იყო ყოველგვარ არგუმენტებს და დასაბუთებას.**

**მიმაჩნია, რომ გამჭვირვალობა და საჯაროობა მანკიერების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. უსაფუძვლო კრიტიკას, რომელსაც უცხოელი დიპლომატებისგან ხშირად ვისმენთ ხოლმე, საზოგადოება შესაბამის ქვეყნებზე განაზოგადებს, რაც სერიოზულ რისკებს შეიცავს. ქართულ საზოგადოებას უნდა შევუნარჩუნოთ ნდობა პარტნიორი ქვეყნების მიმართ, რაზე ზრუნვაც ჩვენი ვალი და პასუხისმგებლობაა.**

**ელჩები პერიოდულად ითხოვენ შეხვედრებს დახურულ რეჟიმში. შეხვედრებზე არასდროს გვითქვამს უარი და დახურული შეხვედრებისთვის სამომავლოდაც მზად ვართ. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ გაუმჭვირვალე პოლიტიკური დისკუსია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის გარშემო აზიანებს ქართული საზოგადოების ნდობას ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მიმართ, ვთავაზობ ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს, გავმართოთ საჯარო დისკუსია ამ კანონპროექტის შესახებ.**

**დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების ლიდერებსა და ელჩებს შორის საგნობრივი დისკუსიის პირდაპირ ეთერში გადაცემის პირობებში, ქართული საზოგადოება შეიქმნის ბევრად უფრო ნათელ წარმოდგენას კანონპროექტის არსისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვისთვის მისი მიღების აუცილებლობის შესახებ.**

**ირაკლი კობახიძე**
საქართველოს პრემიერ-მინისტრი



# რჩევა უსამშობლოებს ზურაბიშვილიდან — ნათელაშვილამდე...

## დიახ, ჩვენს ქვეყანას ამ რთულ პერიოდში სჭირდება სუვერენიტეტის დაცვა და განმტკიცება

ფილოსოფოსი **ზაზა შათირიშვილი** საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძისა** და გერმანიის კანცლერის **ოლაფ შოლცის** პრესკონფერენციას ეხმაურება და მიმართვას ავრცელებს.

**– საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძისა და გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის პრესკონფერენციის შემდეგ რადიკალური ოპოზიციონერი სუბიექტები გამოცვივდნენ და პრემიერს დიპლომატიური ეთიკა დაუწუნეს, თურმე როგორ გაბედა და გერმანელ კოლეგას როგორ უპასუხა მკაცრად პირდაპირ ეთერში. დიაპაზონი ფართოა – ზურაბიშვილიდან ნათელაშვილამდე. ამ ხალხს დავარქვი უსამშობლო სუბიექტები. მათთვის სრულიად უცხოა სამშობლოს ცნება, სრულიად მიუღებელი და შეუთავსებელია საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა. ისინი არა მხოლოდ დავალებებს ასრულებენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ ბუნებრივად, შინაგანად აქვთ საქართველოს სიძულვილი გაღვივებული.**

**უსამშობლოები ზურაბიშვილიდან ნათელაშვილამდე ვერც კი ხვდებიან, რომ იმ პრესკონფერენციაზე დიპლომატიური უხეშობა თუკი ვინმემ იკადრა, ეს იყო ოლაფ შოლცი, რომელიც აგრესიულად ჩაერია ქვეყნის შიდა საქმეში და პრემიერს უთხრა, არ მიიღოთ გამჭვირვალობის კანონიო. დიახ, უცხო ქვეყნის ლიდერები ვერ და არ უნდა ბედავდნენ იმის კარნახს, რომელი კანონი მიიღოს პარლამენტმა და რომელი – არა. ეს, ერთმნიშვნელოვნად, ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების საქმეა.**

**რაც შეეხება პრემიერ კობახიძის პასუხს – ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ლიდერის პასუხი კოლეგის მიმართ. დიახ, ჩვენს ქვეყანას ამ რთულ და გამოწვევებით აღსავსე პერიოდში სჭირდება სუვერენიტეტის დაცვა და განმტკიცება. სწორედ ამას ემსახურებოდა კობახიძის პასუხი. მარტივი ტესტია, ვინც საქართველოს პრემიერის ღირსეულ და აუცილებელ პოზიციას არ იზიარებს, ყველა დგას არა სამშობლოს, არამედ სხვა ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე.**

**დაბოლოს, უსამშობლოებს ზურაბიშვილიდან ნათელაშვილამდე პატარა რჩევას მივცემდი, რომ საკუთარი ქვეყნის სიყვარულში ევარჯიშათ, მაგრამ მათი მატარებელი, დიდი ხანია, საქართველოს გასცდა, დიდი ხანია, ჩაიარა...**



**ზაზა შათირიშვილი**



## სოზარ სუბარი: პატივცემულ მილერს ავიწყდება, რომ მათ ქვეყანაში სასამართლოს მიმართ ნდობა მინიმალურია, ქართული სასამართლო კი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს

**პარტია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე სოზარ სუბარი სოციალურ ქსელში ეხმიანება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, მეთიუ მილერის განცხადებას ქართველ მოსამართლეებთან დაკავშირებით, რომ საქართველომ ისინი უნდა დასაჯოს.**

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ მიუხედავად ხელისუფლების არაერთი მოთხოვნისა, ამერიკულმა მხარემ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება ამ მოსამართლეების რაიმე სახის დანაშაულისა, რის გამოც მოხდა მათი სანქცირება. ამასთან, თვალსაჩინოებისთვის სოზარ სუბარი აქვეყნებს ქართული და ამერიკული სასამართლოს ნდობის რეიტინგებს.

**„გუშინ ღამით, სახელმწიფო დეპარტამენტიდან მორიგი დაუსაბუთებელი და შეურაცხმყოფელი ბრალდებები გაჟღერდა ჩვენი ქვეყნის მიმართ. პრესსპიკერმა, მეთიუ მილერმა ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, როგორც პატრონმა მონას, ვასალმა ყმას, სწორედ ამ ტონალობაში მოგვიწოდა დავიჭიროთ და დავსაჯოთ ქართველი მოსამართლეები, რომელთა დანაშაულის ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენაზე უარს გვეუბნებიან, რადგან ასეთი მტკიცებულება უბრალოდ არა აქვთ.**

**ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ დასანქცირებული მოსამართლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია, თუმცა წინა ელჩმა, კელი დეგნანმა ამრეზით გვიპასუხა – ინფორმაცია ღია წყაროებში მოიძიეთო. ეს არაავთენტური, მაგრამ კოორდინირებული შეტევა ქართულ სასამართლოზე გრძელდება, თუმცა პატივცემულ მილერს და ქართული სასამართლოს „დაუძინებელ მეგობრებს" ავიწყდებათ, რომ მათ ქვეყანაში ამ ინსტიტუციის მიმართ ნდობა მინიმალურია, რასაც მათ მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს. ამ ფონზე, ქართული სასამართლო ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს და 2012 წლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად გაჯანსაღებულია. ამ ყველაფერმა ერთი ქართული გამონათქვამი გამახსენა – „სამწუხაროდ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ამჩნევენ, ხოლო საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ"...** – წერს **სოზარ სუბარი** სოციალურ ქსელში.



## კახა კალაძე: გამორიცხულია, ხელისუფლებამ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც კანონის ფარგლებს სცდება

**ვერ ვნახეთ, ვერცერთი ფაქტი და მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება მოსამართლეების დანაშაული,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის, მეთიუ მილერის განცხადების შეფასებისას განაცხადა.

**„ამასთან დაკავშირებით არაერთხელ გაგვიკეთებია განმარტებები. მიუხედავად იმისა, რომ მოვისმინეთ ეს განცხადებები, ვერ ვნახეთ ვერცერთი ფაქტი, ვერცერთი მტკიცებულება, რა დანაშაული აქვთ ჩადენილი აღნიშნულ მოსამართლეებს. შესაბამისად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე რაიმე ქმედების განხორციელება, გინდ სამართლებრივად, გინდ ადამიანურად, ყველანაირი თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი და გამორიცხულია, ხელისუფლებამ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც სცდება კანონის ფარგლებს"...**

**ლოზუნგმა „აფხაზეთი საქართველოა“, რომელსაც საბერძნეთთან ამასწინანდელი ლეგენდარული მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გაჰყვიროდნენ, სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში დიდი შფოთვა გამოიწვია. თუ თავიდან ბევრი აფხაზი გულწრფელად ულოცავდა ქართველებს ისტორიულ გამარჯვებას ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელ მატჩში, მით უფრო, რომ მასში გადამწყვეტი გოლი სწორედ აფხაზეთის მკვიდრმა ნიკა კვეკვესკირმა გაიტანა, ხსენებული ლოზუნგის გაჟღერების შემდეგ მათი განწყობა შეიცვალა — ცხადია, უარესობისკენ. მაგრამ ამ შემთხვევამ გამოავლინა ერთი დეტალი, რომელსაც პოლიტიკური ინტერნეტ-ბატალიების ქარცეცხლში ერთი-ორმა თუ მიაქცია ყურადღება: 30 წლამდელთა თაობებმა ერთმანეთის შესახებ არაფერი იციან და შესაბამისად, მათი წარმოდგენები მნიშვნელოვნადაა მოწყვეტილი რეალობას.**

# თბილისი და სოხუმი წარსულსა და აწმყოს შორის



**აფხაზებმა ქართველი ფეხბურთელების საქციელში რევანშიზმი, აგრესიული ზრახვების დემონსტრირება დაინახეს. არადა, სპორტსმენებს სულ სხვა რამ ჰქონდათ მხედველობაში. და აი, ამ ნიუანსების აღქმა არ არსებობს – არც ერთ მხარეს.**

როცა ქართველების შესახებ აფხაზების მსჯელობებს ვკითხულობ, 30 და შესაძლოა, 40 წლითაც ვახალგაზრდავდები. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს დროის მანქანაში ჩამსვეს და სადღაც უკან, გვიანი საბჭოეთის პერიოდში გადამისროლეს. იმაში, რასაც აფხაზები ქართველებზე წერენ, ერთადაა თავმოყრილი ყველა შტამპი და სტერეოტიპი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. ქართველის სტერეოტიპული ხატი – ეს არის მარადმწვანე თამადა, ქედმაღალი და მკვეხარა, რომელიც თავს სამყაროს ცენტრად მიიჩნევს, თან ნაციონალისტია და სძაგს ყველა სხვა ხალხი, უპირველესად კი – აფხაზები

საშუალოსტატისტიკური აფხაზი ქართველებზე საუბრისას 1980-იანების სურათს სახავს – სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სწორედ ასეთად ახსოვთ ქართველები მის ნათესავებს, რომელთაგანაც გაუგია ის ყველაფერი, რაც ენგურსგაღმელებზე იცის. არადა, ცხოვრებამ ენგურსგაღმელებს უამრავი მძიმე ტრავმა მიაყენა, რამაც ადამიანების აზროვნებასა და ცხოვრების ნირში სერიოზული ცვლილებები გამოიწვია.

სხვათა შორის, ფეხბურთისადმი მიდგომებში განსხვავებაც ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა. რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის მიღწევების გაზვიადება არ ღირს – ისინი ჯერ წინაა. მაგრამ ის, რომ დისციპლინა და ორგანიზებულობა დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე 1980-90-იან წლებში, უდავოა.

**30 წლამდე ასაკის საშუალოსტატისტიკურმა აფხაზმა იცის 1980-იანი წლების საქართველო. რაც არცაა გასაკვირი: ქართველების მაშინდელი თაობა ხომ ბოლო იყო, რომელმაც აფხაზების გვერდში იცხოვრა. თუმცა არც ენგურსგაღმაა ამ კუთხით საქმე უკეთესად, ის კი არადა ბევრად უარესადაც კია: აქ ადეკვატური აღქმის ნატამალსაც კი ვერ იპოვით, საქართველოს დანარჩენი ნაწილი აფხაზეთის შესახებ უმთავრესად თავის ფანტაზიებში ცხოვრობს.**

ძალიან ძალიან უხეშად რომ დავყოთ, მივიღებთ ქართველების ორ ბანაკს.

**ერთი, შედარებით მცირერიცხოვანი – ეს ქართველი ტრადიციონალისტებია, ისინი, ვინც სოცქსელებში ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებენ ერთდროულად რუსეთსაც, თურქეთსაც, აზერბაიჯანსა და სომხეთსაც; ვინც მზადაა, სიცოცხლის ბოლომდე იდავოს მეზობლებთან, ვინ ვის დაუწერა ალფაბეტი, ვინ მიიღო პირველმა ქრისტიანობა... ისინი, ვინც თვლის, რომ მთელი მსოფლიო ვალშია მათ წინაშე, რომ ამერიკული ავიაციის მამა ქართველი იყო – და ამ ყველაფრით ძალიან ამაყობენ. ისინი უმცირესობაში არიან. ეს უმთავრესად უფროსი თაობაა, რომელიც ირგვლივ ყველაფრით უკმაყოფილოა. ანტივაქსერები, შეთქმულების თეორიების მოყვარულები, დარწმუნებულები იმაში, რომ ამერიკელებმა 11 სექტემბერს თაუერები თავად ააფეთქეს... მათი შეხედულებები აფხაზეთზე სრულიად მოწყვეტილია რეალობას და 40 წლის წინანდელ შაბლონებს ეყრდნობა. მაგრამ სწორედ მათ მაგალითზე მიეჩვივნენ აფხაზები ენგურსგაღმელების შესახებ მსჯელობას... ამ კატეგორიის წარმომადგენლებს ორი ძირითადი თეზისი აქვთ: «რა აფხაზეთი? იქ ხომ ყველაფერს რუსეთი განაგებს: რასაც რუსები ეტყვიან, იმას გააკეთებენ» და „არ არსებობს არანაირი აფხაზი ერი, აფხაზები ქართული ტომი იყო, ხოლო ისინი, ვინც დღეს სახლობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფსუები არიან“... იმაში, რომ ორივე მტკიცება მცდარია, მათ ვერასდროს დაარწმუნებთ. მათ ხომ რეალურად სწამთ, რომ იესო მეორედ მოსვლის შემდეგ ქართულად ისაუბრებს... ასეთებს რაზე უნდა ელაპარაკო?!**

გაცილებით საინტერესოა მეორე ბანაკი – მეინსტრიმული თაობა, ისინი, ვინც ახლა 30 წლამდე ასაკისაა. სწორედ ეს თაობა მოვა ძალიან მალე ხელისუფლებაში და დაკავდება პოლიტიკით. მასში კი სჭარბობს პროპაგანდისტული შტამპი „ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების“ შესახებ. რადიკალური ვარიანტია „ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები“.

საქართველომ გრძელი გზა განვლო ომიდან თეზისამდე „აფხაზები და ოსები ჩვენი თანამოქალაქეები არიან, ხოლო ის, რომ ჩვენ მათთან ნაჩხუბრები ვართ, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ბრალია“. „რომ არა მოსკოვის ჩარევა, აფხაზებთან არაფერი გვაქვს გასაყოფი“ – ასეთია ენგურსგაღმა გავრცელებული წარმოდგენა. თითქოს არ ყოფილიყოს არანაირი კონფლიქტი, 1990-იანებში კი რუსეთთან ვიომეთ.

როგორ გახდა ეს შესაძლებელი? – აქ ორი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ.

პირველი – ეს ენგურსგაღმეთის ზოგადი ევროპეიზაციაა, ევროპული გავლენის ზრდა და შედეგად წარმოდგენების შერბილება, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანი რამაა, რომელიც ეხება როგორც ლგბტ-თემისადმი მეტ ტოლერანტობასა და დისკოთეკებს, ისე იმის აღქმას, რომ ქართველების გარდა არსებობენ სხვა ერებიც, რომელთა მსოფლმხედველობა შეიძლება, ჩვენისგან განსხვავებული იყოს.

მეორე ფაქტორი კი თითქმის 20-წლიანი პროპაგანდაა, მიმართული საზოგადოებაში იმ აზრის ფორმირებაზე, რომ რეალურად, ომი რუსეთმა დაიწყო, რომელმაც აფხაზეთი გამოიყენა. ეს ქვეყნის ხელმძღვანელების სტანდარტული პოზიციაა ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროიდან – „აფხაზებთან არავითარი პრობლემა არ გვაქვს და რომ არა რუსეთი, დიდი ხნის შეთანხმებულები ვიქნებოდით“.

20-წლიანმა პროპაგანდამ თავისი ეფექტი იქონია: ენგურსგაღმელების უმრავლესობა, მათ შორის 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდობის 90% დარწმუნებულია, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი თანამოქალაქეები არიან და თუ რუსეთი იქიდან გავა, ჩვენ ძალიან მალე შევთანხმდებით. სწორედ „შევთანხმებით“ და არა „დავიპყრობთ“, „გავყრით“, „ომით შევალთ“ – ისინი ხომ ჩვენი თანამოქალაქეები არიან...

აქვე ვიტყვი: ახალგაზრდა ქართველების უმეტესობის აზრი მცდარია, რადგან რუსული მდგენელის გარდა, რომელსაც უდავოდ აქვს ადგილი, არსებობს საკუთრივ ქართულ-აფხაზურიც. ორი ერი, რომელთაგან თითოეული თავს აბორიგენად თვლის... – ადამიანებს ერთმანეთში ნაკლები მიზეზითაც უომიათ და თუნდაც რუსეთი აფხაზეთიდან გავიდეს, კომპრომისისა და მშვიდობის მიღწევა არ იქნება ისეთი მარტივი, როგორადაც ამ ახალგაზრდებს წარმოუდგენიათ.

თუმცა მათ ეს არ იციან. შედეგად, ახალ თაობაში არ არსებობს რევანშიზმი, მისი ადგილი დაიკავა აფხაზებისადმი საყოფაცხოვრებო აგრესიის ნულოვანმა დონემ. ახალგაზრდა ენგურსგაღმელი რომ სადმე აფხაზს გადაეყაროს, ეს მასში სხვადასხვა, მაგრამ მხოლოდ დადებით ემოციებს გამოიწვევს, უპირველესად კი – ალბათ, ინტერესს, ცნობისმოყვარეობას, რადგან მისთვის ცოცხალი აფხაზის დანახვა რომელიმე მითიური არსების დანახვის ტოლფასია. კიდევ ბევრი რამ შეიძლება, იგრძნოს, მაგრამ ერთადერთი, რაც ნამდვილად არ ექნება, ესაა აგრესია, ძალადობის სურვილი და მცდელობა, აფხაზს წარსულის გამო ბოდიშის მოხდა აიძულოს.

**ენგურსგაღმელების ახალი თაობის პაციფიზმი – ეს სახელმწიფო პოლიტიკისა და ევროპული ფასეულობების პრიორიტეტულობის ერთობლივი შედეგია.**

**და ეს სწორედ ისაა, რაც ქართული ნაკრების ფეხბურთელებს ჰქონდათ მხედველობაში – სწორედ ეს და არა ის, რადაც მათმა აფხაზმა თანატოლებმა აღიქვეს..**



**თენგიზ აბლოთია**

## დი პკორპუსო, გაილვიძე: „იმედის“ ჟურნალისტთა ბულინგი!!!

**„ნუ დატოვებენ რეაგირების გარეშე „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმდინარე მასშტაბურ შეტევას და კარგად ორგანიზებულ კამპანიას“.**

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, „ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებზე ზეწოლა და ბულინგი რადიკალური ოპოზიციის, მათთან აფილირებული მედია და NGO ორგანიზაციების მხრიდან ყველანაირ ზღვარს სცდება“.

**„არხის ჟურნალისტების დამცირების მცდელობა, მათთვის მონების ძახილი, ქალაქის ცენტრალურ გამზირზე მათი ფოტოების გაკვრა, სოციალურ ქსელებში იმიჯის შელახვა და პირადი ცხოვრების მათ მიერვე გამოგონილი ისტორიებით შანტაჟი და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა კარგად ორგანიზებული ჯგუფების მხრიდან, სხვა არაფერია, თუ არა საბჭოთა, ბოლშევიკური მეთოდებით განსხვავებულ აზრთან ბრძოლა. და ამ ქცევას საერთო არაფერი აქვს არც დასავლურ დემოკრატიასთან და არც ცივილიზებულ სამყაროსთან.**

**რევანშისტული პოლიტიკური ძალა, ამას ახლა ოპოზიციური ფლანგიდან აკეთებს, ქართველი ხალხის, ქართული ჯარის და ევროპელი პენსიონერების ნაძარცვი ფულის გამოყენებით, ისევ ცდილობს განსხვავებული აზრის ჩახშობას. იმის მიუხედავად, რომ ეს ძალა ფლობს და აკონტროლებს 4 ტელევიზიას და არაერთ ონლაინ მედიაპლატფორმას, მიყვება გზას, რომელიც 2 ათეული წლის წინ აირჩია – ისევ თავს ესხმის ტელეკომპანია „იმედს“ და „იმედის“ თანამშრომლებს. სამწუხაროდ, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო სექტორი, წლებია დაშორდა მთავარ მიზანს – აღარსად ჩანს ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვა, რადგან ახლა მათი მთავარი საქმე პოლიტიკური საქმიანობაა და არა ადამიანი. ეს რომ სწორედ ამ პოლიტიკური ჯგუფების ორგანიზებული და დაფინანსებული კამპანიაა და არა საზოგადოების განწყობა – ამაზე მეტყველებს ის ნდობა და რეიტინგი, რომელიც ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა და აქვს მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით ჩატარებული კვლევების მიხედვით. მოგმართავთ, საქართველოში აკრედიტებული, დემოკრატიული ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს – ნუ დატოვებთ რეაგირების გარეშე „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმდინარე მასშტაბურ შეტევას და კარგად ორგანიზებულ კამპანიას“,** – აღნიშნულია „ტელეიმედის“ მიმართვაში.



პეტრე მამრაძე:

# დაყოფილი საზოგადოება მოიკითხონ შეერთებულ შტატებში, სადაც მოსახლეობის 36 პროცენტი დღესაც არ აღიარებს ტრამპის წაგებას...





# საქართველოში დღეს არავითარი პოლარიზაცია არ არის!

წელს მსოფლიოში არჩევნების ბუმია. მთელი მსოფლიო შეჰყურებს, ვინ გაიმარჯვებს ამერიკაში — ტრამპი თუ ბაიდენი. პარალელურად, 2024 წლის 6-9 ივნისს გაიმართება ევროპარლამენტის არჩევნები და ევროკავშირის მოქალაქეები აირჩევენ თავიანთ 720 წარმომადგენელს ევროპარლამენტში, რაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. გარდა ამისა, ევროპულ ქვეყნებში დაგეგმილია საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მათ შორის, ავსტრიაში, პორტუგალიაში, ბელგიაში, ხორვატიაში, რუმინეთში, ჩრდილოეთ მაკედონიაში და ა.შ. დიდ ბრიტანეთში დაგეგმილია საყოველთაო არჩევნების ჩატარება. ინდოეთშიც ემზადებიან ახალი პრემიერის ასარჩევად. მთლიანობაში, 50 ქვეყანაში ორ მილიარდზე მეტი ადამიანის მისვლას ვარაუდობენ არჩევნებზე, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

ერთადერთი საერთო ნიშანი, რაც მთელ მსოფლიოში დაგეგმილ არჩევნებს აერთიანებს, ამომრჩევლის გულის გატეხვაა არჩევნების მიმართ. სავარაუდოდ, ასეთი განწყობა იქნება საქართველოშიც.

დაიღალა თუ არა ჩვენი საზოგადოება „ქართული ოცნებით“ და მისცემს თუ არა ნდობის მანდატს უკვე მეოთხედ შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებში?!

„ხელისუფლებაში როცა ერთი და იგივე სახეებია ამდენი წლის განმავლობაში, ყველგან იწყება დაღლა, სატელევიზიო დაღლა ჰქვია ამას, როცა ხალხი ამბობს, ამ ადამიანს რამდენ ხანს უნდა ვუყუროთ, ნუთუ სხვა ახალი ძალა არ გამოჩნდება?!“ — აცხადებს „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** FOR.GE-სთან საუბრისას.

**მისივე განმარტებით**, თავის დროზე ზოგიერთებს ეგონათ, რომ ამ ხელისუფლებას დასავლეთმა მხოლოდ ორი ვადა მისცა და ამის შემდეგ „ოცნება“ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ორ ვადაზე მეტია ეს ხელისუფლება ინარჩუნებს ძალაუფლებას. სინამდვილეში, პეტრე მამრაძის აზრით, დასავლეთი ხელისუფლებაში დარჩენის არც უფლებას და არც აკრძალვას არ იძლევა და ეს მითოლოგიაა, თითქოს ორი ან სამი ვადის შემდეგ უშვებენ საქართველოს ხელისუფლებას.

**„შარლ მიშელის სამარცხვინო ხელშეკრულება ყველას გვახსოვს, „ქართულმა ოცნებამ“ გადაახია თავზე შარლ მიშელს ეს დოკუმენტი და მიშელმაც თვითონვე აღიარა, არასწორი იყო, რადგან, პირველ რიგში, ნაცები არ ასრულებდნენო. ახლახანს სტრასბურგის სასამართლომ არ მიიღო გვარამიას სარჩელი, არადა, გვარამიას რომ გამოუტანა განაჩენი იმ მოსამართლემ, ის დასანქცირდა ამერიკის მხრიდან. ასე რომ, სუვერენობა იმაში მდგომარეობს, დაიცვა შენი სიმართლე, როცა მართალი ხარ და ეს შესაძლებელია“,** — მიიჩნევს **ანალიტიკოსი.**

დაიღალა თუ არა ამომრჩეველი ამდენ ხანს ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნებით“? ამის შესახებ პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ არსებობს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც პირდაპირ ამბობს, „ქართული ოცნების“ ყურებით დავიღალე, მაგრამ ნაცებს რომ ვუყურებ, ისევ ამათ მივცემ ხმას. ანუ ეს დაღლა ბუნებრივია, როცა ვუყურებთ ერთსა და იმავე სახეებს, რომლებიც პერიოდულად ბრუნდებიან პოლიტიკაში, მიდიან პოლიტიკიდან და ისევ ბრუნდებიან. უკვე 12 წელი გადის, მაგრამ ამომრჩევლის ამ დაღლას აბათილებს, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ხაზეიშვილის და სხვების სახეები, ასევე, სააკაშვილის ქალების სახეები, რომლებიც მოძღვრავენ ერს.

იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნიჰილიზმი დათრგუნოს, პეტრე მამრაძე ახალი სახეებით განახლებას სთავაზობს მმართველ გუნდს. რაც მთავარია, ხელისუფლებამ საქმით და გაშუქებით უნდა აჩვენოს, რაც კეთდება და გააკეთოს უფრო მეტი. იქნება ეს ანტიკორუფციული ქმედება, მოსახლეობისთვის კონკრეტული კარგი საქმეები.

**„რამდენიმე ადამიანმა მითხრა, ეს რა კარგი ქალები გამოჩნდნენ „ქართულ ოცნებაში“, როგორ კარგად საუბრობენ, კორექტულად და თავდაჯერილად, როგორ ბრწყინვალედ გამოდიან უცხოეთში. საუბარია ბოჭორიშვილსა და მაია ბითაძეზე. რაც მთავარია, „ქართულ ოცნებას“ აქვს ადმინისტრაციული რესურსი, რაც საქართველოსნაირ ქვეყნებში კარგად მუშაობს. მეტიც, თქვენ წარმოგიდგენიათ ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც თავიანთი ნებით, ყოველგვარი შანტაჟის და კომპრომატების გარეშე ფულს ჩაურიცხავენ ნაცებს?! გიჟები კი არ არიან, არავის არ ენატრება ის დრო. იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ არ დაუშვებს შეცდომას და არ წამოეგება ნაცების პროვოკაციებს, წარმატება გარდაუვალია.**

**თუმცა ნაცები რომ პროვოკაციის დიდოსტატები არიან, ეს ცხადია. ამ რამდენიმე ხნის წინ წარწერები გააკრეს ყველგან „მურუსიძე ვჭამოთ?!“ „ვეძებთ სამართალს“, მაინცდამაინც ახლა წერენ ამ ლოზუნგებს, როცა საქართველოს სასამართლო სისტემა მაღალი დონის მქონედ ითვლება მთელ ევროპაში და ამხელა ინდექსები გვაქვს. ევროკავშირის და ნატოს წევრ ქვეყნებსაც უსწრებს საქართველო სასამართლოს დამოუკიდებლობითა და ობიექტურობით. სააკაშვილის დროს კი სასამართლო საერთოდ არ არსებობდა და იყო მორჩილი ფილიალი ადეიშვილის პროკურატურის, სად იყვნენ მაშინ და რატომ არ ითხოვდნენ სამართლიანობას?“** — აცხადებს **პეტრე მამრაძე** და არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოს ქართული საზოგადოება დაყოფილია.

ანალიტიკოსი ამბობს, რომ **დაყოფილი საზოგადოება მოიკითხონ შეერთებულ შტატებში, სადაც მოსახლეობის 36% დღესაც არ აღიარებს, რომ ბოლო არჩევნები, რომელიც ტრამპმა წააგო, ლეგალური იყო, გაყალბებად მიიჩნევენ ამ არჩევნებს და აცხადებენ, კიდევ რომ განმეორდეს ეს ამბავი და ტრამპი აღარ გახდეს პრეზიდენტი, იარაღსაც მოჰკიდებენ ხელს. საქართველოში მსგავსი არაფერია, მხოლოდ ტელევიზიების მეშვეობით ხდება პოლარიზაციის იმიტაცია, წარმოაჩენენ ვითომც დაპირისპირებას, ვითომც განსხვავებულ აზრს, ობსტრუქციას, პარლამენტში ვითომც არშესვლის სურვილს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, რამდენსაც არ იჭინთება ეს ოპოზიცია, მომხრეებს მაინც ვერ აგროვებენ. ამდენად, საინტერესოა, სად არის ეს დაპირისპირებული, პოლარიზებული მასა? არსად არ არის.**

მისივე აზრით, **ზოგადად, ნიჰილისტური განწყობა მთელ მსოფლიოშია, განსაკუთრებით, ევროპაში და ხშირად საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩევლის 30%-ზე მეტი არც მიდის... რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ გვყავს მოსახლეობის მცირე ნაწილი, არაუმეტეს 10-12%-ის ზრდასრული მოსახლეობის, რომლებიც არიან სააკაშვილის ბირთვული ელექტორატი. რაც არ უნდა ჩაიდინოს სააკაშვილმა, სულ შიშველმა რომ ირბინოს ქუჩასა და სახურავებზე, როგორი სისულელეებიც არ უნდა ილაპარაკოს, მისი მომხრეები მაინც ჩათვლიან, რომ ასეა საჭირო. სააკაშვილი მათთვის კულტია. ეს გამოჩნდა 2020 წელსაც, „ნაცმოძრაობის“ 36 ადგილზე ხალხი რომ გაიყვანა პირადად სააკაშვილმა, იმ პერიოდში ერთად აღებულმა ყველა პარტიამ თავისი კანდიდატები გაიყვანა მხოლოდ 24 ადგილზე და ვერც ერთი პარტია, ვერც ბოკერიასი (რომელიც მეორე ადგილზე გავიდა) და ვერც სხვა, ვერ შევიდოდა პარლამენტში, მინიმალური ბარიერი მაინც რომ ყოფილიყო. დღეს კი ნამდვილად არ არის პოლარიზაცია.**

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**



**„შარლ მიშელის სამარცხვინო ხელშეკრულება ყველას გვახსოვს, „ქართულმა ოცნებამ“ გადაახია თავზე შარლ მიშელს ეს დოკუმენტი და მიშელმაც თვითონვე აღიარა, არასწორი იყო, რადგან, პირველ რიგში, ნაცები არ ასრულებდნენო. ახლახანს სტრასბურგის სასამართლომ არ მიიღო გვარამიას სარჩელი, არადა, გვარამიას რომ გამოუტანა განაჩენი იმ მოსამართლემ, ის დასანქცირდა ამერიკის მხრიდან. ასე რომ, სუვერენობა იმაში მდგომარეობს, დაიცვა შენი სიმართლე, როცა მართალი ხარ და ეს შესაძლებელია**




## „ჩამომალა-ბორანტეს“, „მეაკვანოს“, „შრომაღამე“ – სიტყვის დიდოსტატთა მიერ მოგონილი სიტყვები


ილია ჭავჭავაძე


ნიკო ნიკოლაძე

# [illegible]...

**ახალი სიტყვების გამოგონება ბევრი მწერლის ცდუნებაა. ამ „ვნებით“ თითქმის ყველა იყო შეპყრობილი, შოთა რუსთაველით დაწყებული – გალაკტიონით დამთავრებული. გამოგონილი სიტყვებიდან ზოგი სახალხო ხდება და მკვიდრდება, ზოგი კი სამუდამოდ მხოლოდ წიგნშივე რჩება.**

„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, გედაური, მაძღარი სიტყვა!.. რა ტკბილი იყო შუქელვარა დილა პატარძეულში! ოქროვანი ხმით მოწკრიალე გაზაფხულის დღეები... ვერცხლულა იორი მიმღერდა ამ სიტყვას... ივრის თვალსამოთხე ნაპირები... როგორ მიყვარდა ივრის ბროლნამსხვრევი, დაიისფერებული ზვირთები... ახლაც ისე ვერ შევხედავ იორს, რომ გული არ ამიჩქროლდეს! ისევ ჩემი სამწყურვალოა იორი!“, – ეს ფრაზები გიორგი ლეონიძისაა, ის ერთ-ერთი იყო, რომელსაც ძარღვიანი ქართულით წერა უყვარდა. ბევრ სიტყვას იგონებდა, უფრო მეტი ხალხიდან შეჰქონდა ლიტერატურაში.

**„ენა მწერლებისაა, ენასთან მწერლის მიმართება ისეთივეა, როგორიც ბურთთან ფეხბურთელის. როგორც ფეხბურთელი იგონებს ათასნაირ მოძრაობას, ისე მწერალიც. ენამ ბევრი რამ უნდა გამოთქვას. არის ხატოვანი შტამპები, იდიომები, მაგრამ ეს ყოველთვის არ კმარა. ამიტომაც ახალ სიტყვებს იგონებენ“,** – ამბობს ლიტერატორი ლევან ბრეგაძე. ის განასხვავებს ნეოლოგიზმებს და ოკაზიონიზმებს.

**ნეოლოგიზმი** ახალი სიტყვაა, რომელიც ენაში შემოდის და მკვიდრდება, მაგალითად, „ჟურნალი“. **ოკაზიონიზმებს** კი მხოლოდ ერთჯერადად იყენებენ.

**„მაგალითად, გურამ დოჩანაშვილის „ჩამომალაბორანტეს“ (ოკაზიონიზმია) თუმცა, ესეც გავრცელდა და ირონიით ხმარობენ. დოჩანაშვილს ასეთი ბევრი სიტყვა აქვს. აკრიტიკებდნენ კიდეც ამის გამო, მაგალითად, „მტკივიხარ“, ანალოგიით სიტყვისა „მიყვარხარ“. ხშირად ახალი სიტყვა სწორედ სხვა სიტყვის ანალოგიით იქმნება.**

**ზვიად რატიანს აქვს ასევე „შრომაღამე“, შრომადღის ანალოგიით. „შრომაღამე“ შრომაში, ლექსის წერაში გატარებულ ღამეს ნიშნავს“,** – მოჰყავს მაგალითები ლიტერატორს.

სიტყვების გამოგონება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქართველი მწერლების თავისებურება არ არის. ასე გამოიგონა სიტყვა „ლილიპუტი“ ჯონათან სვიფტმა, „რობოტი“ – იაროსლავ ჰაშეკმა.

**„ამბობენ, რომ სიტყვა „შინაარსი“ ილია ჭავჭავაძის შემოღებულია. გრიგოლ რობაქიძემ მოიგონა სიტყვა „თაურფენომენი“. არ დამკვიდრდა, მაგრამ არსს კარგად გამოსახავს. ეს არის გერმანული „ურფენომენის“ შესატყვისი, რაც გულისხმობს, რომ რეალობა არის რაღაც იდეის განსახიერება. „ფენომენი“ ნიშნავს მოვლენას, „ურ“ – წინას, პირველს. რობაქიძემ ამის შესატყვისად „თაურფენომენი“ მოიფიქრა“,** – ამბობს ლევან ბრეგაძე.

მე-19 საუკუნე. ქალი საბანს კერავს, ნემსით ალიანდაგებს. მოგვიანებით, როდესაც საქართველოში რკინიგზას გაიყვანენ და შესაბამისი ქართული სიტყვები დასჭირდებათ, ნიკო ნიკოლაძეს სწორედ ეს სურათი დაუდგება თვალწინ - საბნის მკერავი დედა. აქედან წამოვა ლიანდაგის სახელწოდებაც.

სიტყვები „წრეწირი“, „მართკუთხედი“, „ოთხკუთხედი“... თავისით არ შექმნილა. ტექნიკური ტერმინების გაქართულებაში ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. მათემატიკოსებმა ანდრია რაზმაძემ და გიორგი ნიკოლაძემ ბევრი იშრომეს, რომ ახალი ქართული ტერმინები შეექმნათ და ტექნიკური სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე დაეწერათ.

### ზმნად გადაქცეული არსებითი სახელი

„მოახსენა ყრმამან: „მზეო, **ვინ გიშერი აწამწამე,** სხვა პასუხი რამაც გკადრე, ანუ რაამცა შევიწამე?“ – ეუბნება ავთანდილი თინათინს. სიტყვა „აწამწამე“ შექმნილია. არსებითი სახელი „წამწამი“ რუსთაველმა აქ ზმნად აქცია. ამ ხერხს ის ხშირად მიმართავდა.

**„მაშინ მიწა მეაკვანოს“... – სასწაული ფორმაა, აკვნად მექცეს მიწაო. ლექსიკონში ვერ შეიტან, მაგრამ რა კარგად არის ნათქვამი. კიდევ სიტყვა „გასისხმდინარდა“. ამასაც ვერ შეიტან ლექსიკონში, მაგრამ იქ რა კარგად არის“,** – ამბობს ლევან ბრეგაძე.

ახალი სიტყვების შექმნა განსაკუთრებით ლევან გოთუას უყვარდა. თამარ შაიშმელაშვილი თავის კვლევაში „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ წერს, რომ ის ასეთ სიტყვებს იგონებდა: „მხარჩამოშლილი, ბადალუპოვარი, მხარჯავარი, ქვაბ-ქალაქები, ქვა-ყუთი, ქვა-კამარა, კეთილმოქალაქეობა, კეთილხმოვანი, კლდე-ჭერი, თვალკიაფა, ჯუჯაგულობა, ბრძენ-პაპა, ნადირ-კაცი...“

მოგონილი სიტყვების გარეშე არც ანა კალანდაძის შემოქმედება დარჩა:

„თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს,
ვგავდე ყაყაჩოს **სათისხალიანს....**
ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო,
ომარ ხაიამ!“


ანდრია რაზმაძე

„სათი“ გიშერს ნიშნავს, სათისხალიანი იგივე გიშრისხალიანს, შავკოპლებიანს.

და, რა თქმა უნდა, გალაკტიონი:

„გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი **შუქურთმებით**...
რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია –
დარობს **რამდი დარი“.**

„მიჰქრის დალალგადაყრილი:
**დოვინ, დოვენ, დოვლი...**
თოვლი, ფიფქი და აპრილი,
ვარდისფერი თოვლი“.

**„ზოგი კამათობს, რას ნიშნავს „დოვინ დოვენ დოვლიო“. მაგრამ გალაკტონმა ძალიან კარგად იცოდა ენა, სხვაზე უკეთ. ზოგჯერ იგონებდა კიდეც, მაგრამ ხანდახან, უბრალოდ ხალხურ ენაში არსებულ სიტყვებს იყენებდა,** – ამბობს ლევან ბრეგაძე, – **ზოგს გამოსდის ახალი სიტყვის გამოგონება, ზოგს არ გამოსდის. ძალიან უნდოდათ დაემკვიდრებინათ „ელსმენი“ ტელეფონის ნაცვლად, „რონოდა“ – ვაგონის ნაცვლად, სიტყვიდან რონინი. ძალიან ხელოვნური იყო და არ დამკვიდრდა. თუმცა, ერთი-ორგან მაინც დარჩა, მაგალითად, იოსებ გრიშაშვილის ლექსში:**


იოსებ გრიშაშვილი

**„და რომ ლექსში ბევრი**
**ოქრო მქონოდა,**
**ჩემთან მოსვლა**
**ბევრჯერ იუკადრისე.**
**მემანქანევ, მოხსენ შენი**
**რონოდა.**
**წაღვერში ვარ, აი, ჩემი**
**ადრესი“.**


გურამ დოჩანაშვილი

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლება

# თბილისის საერთაშორისო აეროდრომის წარმატება

**თბილისის საერთაშორისო აეროდრომმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია IATA-ს სახმელეთო მომსახურების უსაფრთხოების აუდიტის (ISAGO) პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ორგანიზაცია და მართვა, ჩატვირთვის კონტროლი, მგზავრთა გადაყვანა, საბარგო და საჰაერო ხომალდის სახმელეთო მომსახურება.**

სერთიფიკატი ადასტურებს, რომ თბილისის საერთაშორისო აეროდრომი სახმელეთო მომსახურებას ახორციელებს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და IATA-ს მოთხოვნების და რეკომენდაციების სრული დაცვით.

თბილისის საერთაშორისო აეროდრომი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება, როგორც არსებული, ასევე ქართული საავიაციო ბაზრით დაინტერესებული ახალი ავიაკომპანიებისთვის, რამდენადაც ISAGO-ს სერთიფიკატის ქონა მათთვის უსაფრთხო ოპერირების, მაღალი ხარისხისა და საერთაშორისო რეგულაციების დაცვის გარანტს წარმოადგენს. აკრედიტაციის პროცესში ჩართული იყო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა ძალისხმევისა და ეფექტური მუშაობის შედეგად გათვალისწინებულ ვადებში მოხდა სერთიფიცირების წარმატებით დასრულება.



IATA-ს სახმელეთო მომსახურების უსაფრთხოების აუდიტი (ISAGO) წარმოადგენს საავიაციო ინდუსტრიის გლობალურ, მსოფლიოში აღიარებულ პროგრამას სახმელეთო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობისათვის. ISAGO უზრუნველყოფს საექსპლუატაციო პროცედურების სტანდარტიზაციას და ზრდის საუკეთესო პრაქტიკის ჰარმონიზაციას საავიაციო ინდუსტრიაში.

# სომხეთმა რუსეთს უგანა!

**სომხეთმა, როგორც ჩანს, მტკიცედ აიღო გეზი დასავლეთისკენ, რაზეც პირდაპირ მეტყველებს სომხეთის ოფიციალურ პირთა გახშირებული სტუმრობა ევროპასა და ამერიკაში. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტი 5 აპრილს ბრიუსელში შედგა, რომელშიც სამი მხარე მონაწილეობდა, ევროკავშირი, ამერიკა და სომხეთი. სომხეთისთვის, ასეთ ფორმატში შეხვედრა, რომელსაც თავად ფაშინიანი ესწრებოდა, ნამდვილი პრემიერა იყო. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა: შეხვედრა სომხურ-დასავლურ ურთიერთობათა გამყარებას ემსახურება, რომელიც ახალ საფეხურზე ადის.**

ორი თვის წინ, ბრიუსელში, სომხეთთან თანამშრომლობის საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც გამოჩნდა, რომ დასავლეთთან სომხეთის კავშირი პოზიტიურად ვითარდება. ამ ურთიერთობაში ორმხრივი ინტერესი იკვეთება, და ეს დაინტერესება არასოდეს ყოფილა ისეთი მტკიცე, როგორც ახლა. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, არარატ-მირზოიანი, კიდევ უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ ამერიკა და ევროპა სომხეთის ძირითადი პარტნიორები ხდებიან. მართლაც შთამბეჭდავი განცხადებაა, რადგან, რამდენიმე წლის წინ, სომხეთის ოფიციალური პირისგან ასეთი რამის გაგონება წარმოუდგენელი იყო. უფრო მეტიც, ასეთი განცხადების გამკეთებელი პოლიტიკოსი სომხეთის მოღალატედ შეირაცხებოდა.

ამ ყველაფრის მიზეზი კი, ყარაბაღის ბოლო ომი და რუსეთის მიერ ძველი პარტნიორის ბედის ანაბარა მიტოვებაა. რუსეთს სომხეთის ორიენტაციის ასეთი ცვლა საშინლად აღიზიანებს, მაგრამ, განცხადების გარდა, ჯერჯერობით არაფერს აკეთებს. ითვლება, რომ რუსეთს, უკრაინის ომის გამო, სომხეთისთვის არ სცალია და არც პირდაპირ კონფრონტაციაზე გადასვლა არ სურს მასთან, თუმცა, რუსეთის ოფიციალურ პირთა განცხადებები ამ საკითხზე, ერთობ, დამაფიქრებელია.

მაგალითად, სამეულის შეხვედრის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერმა მარია ზახაროვამ ასეთი განცხადება გააკეთა: **ერევანს დაფიქრებისაკენ მოვუწოდებთ. ნუ მიგყავთ ქვეყანა მცდარი გეზით. ასეთი პოლიტიკა, შეიძლება, ინანოთ. დასავლეთი სამხრეთ კავკასიის რუსულ-დასავლურ დაპირისპირებაში ჩათრევას ცდილობს, რამაც, შეიძლება, რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. დასავლეთის მიზანი სომხეთის მიერ ოდეკაბესა და ევრაზიის-კავშირის დატოვებაა, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ.**

მართლაც დამაფიქრებელია ულტიმატუმის სტილის ეს რუსული განცხადება, რასაც ერევანმა კონფრონტაციული ტონით უპასუხა: სომხეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ის თვითონ გადაწყვეტს, ვის შეხვდება და ვის არა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ სომხეთი დსთ-ს 12 აპრილის სამიტში მონაწილეობას არ მიიღებს. რაც შეეხება სამეულის შეხვედრას ბრიუსელში, ყველა მონაწილე კმაყოფილი დარჩა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ევროკავშირი ფინანსურად და პოლიტიკურად დაეხმარება სომხეთს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამკლავებაში.




ბრიუსელი ერევანს 270 მილიონ დოლარს გამოუყოფს, ამერიკა კი, 65 მილიონი დოლარით დაეხმარება. როგორც ურსულა-ფონ-დერ-ლაიენმა განაცხადა, შეხვედრაზე, სომხეთი ევროკავშირს უფრო დაუახლოვდა. მან ფაშინიანს მადლობა გადაუხადა, რომ ერევანი რუსეთის მიმართ სანქციების გვერდის ავლის ბრძოლაში ჩაება. შეგახსენებთ, 30 მარტს, სომხეთის ბანკების უმრავლესობამ რუსული ბარათების, მირის, გამოყენება აკრძალა. ფონ-დერ-ლაიენმა და ბლინკენმა მხარი დაუჭირეს სომხურ ინიციატივას, მშვიდობის გზაჯვარედინი, რომელიც ფაშინიანმა შარშან, ოქტომბერში, თბილისში, აბრეშუმის გზის ფორუმზე წარადგინა.

ინიციატივა რეგიონის ქვეყნებსა და მათ მეზობლებს შორის კომუნიკაციის გაღრმავებას გულისხმობს. ბრიუსელის სამმხრივ შეხვედრაზე, ასევე, გადაწყდა, რომ ამერიკა სომხეთს, ატომური ენერგეტიკის უსაფრთხო მუშაობისთვის, ფინანსებს გამოუყოფს. გარდა ამისა, ამერიკა სომხეთს ინვესტიციების მოზიდვასა და კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაეხმარება.



# საფრანგეთს ისლამიზმის პრობლემა ახრჩობს!

**საფრანგეთი რადიკალური ისლამის სახიფათო წნეხს ვეღარ უმკლავდება. ქვეყანაში ისლამის მიმდევრთა რაოდენობა მატულობს. პრობლემა ეგზისტენციალურ მნიშვნელობას იძენს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლიდან დღემდე, ფრანგმა სამართალდამცველებმა 74 ტერაქტი აღკვეთეს. ამჟამად, ქვეყნის სპეც-სამსახურები 4200 რადიკალური ისლამისტის მიმართ მიყურადებას ახორციელებს, რომელთაგან, 800 უაღრესად საშიშ პირადაა მიჩნეული.**

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრესას განუცხადა, რომ, მოზარდთა შორის ისლამის ინტენსიური გავრცელების პრობლემაც გამწვავდა, და რომ სკოლებში, რადიკალური ისლამის პოპულარიზაცია შეიმჩნევა, რაზეც სასწავლებლებში მომხდარი არაერთი შემაშფოთებელი ინციდენტი მეტყველებს.

ბოლო ასეთ შემთხვევას რამდენიმე დღის წინ ჰქონდა ადგილი: საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს ერთ-ერთ სკოლაში, 13 წლის მუსლიმი გოგონა, სახელად, სამარა, საშინლად სცემეს. ისლამით გატაცებულ დამნაშავე მოზარდთა შორის ძირძველი მუსლიმებიც არიან. დაშავებულის დედის თქმით, მოზარდთა ეს ჯგუფი ყველა მუსლიმ მოსწავლეს ატერორებს, ვინც, მათი აზრით, მუსლიმურ კანონებს წესიერად არ იცავს. ჩემი გოგონა თავსაბურავს არ ატარებდა და ევროპულად იცვამდა, რის გამოც მას აბულინგებდნენ, კაფირს, ანუ ურწმუნოს ეძახდნენ და ბოლოს, ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.

სამარას დედამ სკოლის დირექცია და ლიბერალური მას-მედია გულგრილობაში დაადანაშაულა, რომელმაც კრიმინალის მიჩქმალვა სცადა, თითქოს, საფრანგეთის სკოლებში ყველაფერი კარგადაა. სამარას დედას მხარი 2020 წელს მოკლული მასწავლებლის, სამუელ პატის დამ აუბა. შეგახსენებთ, რომ 2020 წელს, რადიკალურმა ისლამისტმა სამუელ პატის თავი მოჰკვეთა, რომლის მიზეზი მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე ნაჩვენები მოციქულ მუჰამედის კარიკატურა იყო. ქალბატონმა პატიმ სახელმწიფო ისლამიზმის პრობლემის არაღიარებაში დაადანაშაულა, აღნიშნა რა, რომ მათ ჯერ კიდევ არ ესმით საფრთხის ბუნება და მნიშვნელობა. სამუელ-პატი არ არის ისლამისტების მიერ მოკლული ერთადერთი მასწავლებელი. გასულ ოქტომბერს მასწავლებელი დომინიკ ბერნარდი სკოლის სათამაშო მოედანზე დანით მოკლეს.

კონსერვატული მას-მედიის მონაცემებით, არაერთი ფრანგი მასწავლებელი უარს ამბობს იმ სკოლაში მუშაობაზე, სადაც ბევრი მუსლიმი მოზარდი სწავლობს. მათ მოსწავლეთა მუქარების ეშინიათ. მას-მედიის აზრით, რადიკალურ ისლამს ამოფარებულმა მოზარდებმა, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანეს საფრანგეთის სკოლები. სკოლებში, მასწავლებლებისთვის მძიმე გარემოა. საქმე იქამდეა მისული, რომ მასწავლებელს მოსწავლისთვის შენიშვნის მიცემის ეშინია.

მაგალითად, ერთი თვის წინ, ერთ ვეტერან მასწავლებელს სამსახურის დატოვება მოუწია, რადგან მოსწავლე გოგონამ ის ფიზიკურ ძალადობაში დაადანაშაულა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მასწავლებელმა გოგონას ჩადრის მოხსნა მოსთხოვა, თუმცა, მკაცრი ტონით. გოგონამ, მოგვიანებით, ინტერნეტში მასწავლებლის წინააღმდეგ მთელი კამპანია წამოიწყო. მსგავსი ინციდენტების სიმრავლისა და სიმწვავის გამო, მთავრობას ამ სახიფათო და სენსიტიური პრობლემის აღიარება მოუწია. ოპოზიცია კი, მთავრობისგან რეალურ მოქმედებას ითხოვს. მთავრობა, ჩვენს სკოლებსაც კი ვეღარ იცავს, ეს ნამდვილი კატასტროფაა, ხმამაღლა განაცხადა ფრანგმა ნაციონალისტმა, მარინ-ლე-პენმა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

## ამერიკას არ სჯეროდა ირანის თავდასხმისა...

**შეერთებულ შტატებში აცხადებენ, რომ მათ არ მიუღიათ წინასწარი შეტყობინება ირანისგან ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის მასშტაბებისა და დროის შესახებ. ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა, მეთიუ მილერმა ისაუბრა.**

მილერის თქმით, ირანმა არაერთხელ განაცხადა საჯაროდ და პირადად არა მხოლოდ შეერთებულ შტატებთან, არამედ ნებისმიერთან, ვისთანაც საუბარი ჰქონდათ, რომ ისინი აპირებდნენ კონკრეტული ქმედების განხორციელებას, თუმცა ირანს არ მიუწოდებია მათთვის დეტალები თავდასხმის სპეციფიკის შესახებ. ამასთან, აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს სპიკერის, ჯონ კირბის განცხადებით, მათ არ ჰქონიათ ინფორმაცია ირანის მხრიდან განხორციელებული შეტევის მიზნებისა და ვადების შესახებ.

## აზიაში ირანის როლი გაიზარდა



**ისრაელის წინააღმდეგ საპასუხო ოპერაციამ დასავლეთ აზიაში ძალთა ბალანსი ხელახლა განსაზღვრა და გააძლიერა ქვეყნის დიპლომატიური შესაძლებლობები საერთაშორისო ასპარეზზე,** – ამის შესახებ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, **ჰოსეინ ამირაბდოლაჰიანმა** განაცხადა.

ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა შეაქო ქვეყნის უმაღლესი სამხედრო მეთაურები წარმატებული ოპერაციის ფრთხილად და გავლენიანად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. ჰოსეინ ამრიაბდოლაჰიანის განცხადებით, ისრაელზე საპასუხო იერიშმა ქვეყანაში გააძლიერა პატრიოტიზმის გრძნობა, ქვეყნის სტრატეგიული შეკავება და დააჩქარა სიონისტური რეჟიმის დამხობის ტემპი.

## ბრიტანეთი ეძებს ქვეყნებს, სადაც არალეგალ მიგრანტებს გააგზავნის



**მოლაპარაკებას აწარმოებს ოთხ ქვეყანასთან, მათ შორის სომხეთთან, ბოცვანასთან, კოტ-დივუართან და კოსტა რიკასთან. გამოცემის ცნობით, ლონდონი სწორედ ამ ოთხ ქვეყანასთან ელის გაერთიანებულ სამეფოსა და რუანდას შორის ადრე მიღწეული შეთანხმების ანალოგის დადებას.**

ლონდონმა ერევანთან ტექნიკური მოლაპარაკებები შარშან სექტემბერში დაიწყო, როდესაც სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლეო დოკერტი სომხეთს ეწვია. რუანდასთან დადებული შეთანხმება გულისხმობს მიგრანტების მშობლიურ ქვეყნებში გაძევების შესაძლებლობის გამორიცხვას, სადაც მათ შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს. ასევე, დაისვა ბრაზილიასთან, კოლუმბიასთან, პარაგვაისთან, პერუსა და ეკვადორთან შესაძლო თანამშრომლობის საკითხი, მაგრამ გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლება დიდად არ ინტერესდება.

როგორც „თაიმსი“ წერს, არსებობს აფრიკული სახელმწიფოების სარეზერვო სია, მათ შორის ანგოლა, კაბო ვერდე, ტანზანია, ტოგო, სენეგალი და სიერა ლეონე, რომლებთანაც ბრიტანულმა მხარემ, შესაძლოა, დიალოგი დაიწყოს. გამბიამ, მაროკომ, ნამიბიამ და ტუნისმა უარი განაცხადეს ამ საკითხის განხილვაზე. გამოცემა იხსენებს, რომ დიდი ბრიტანეთი წელიწად-ნახევარია ეძებს ქვეყნებს, რომლებიც მზად იქნებიან სამეფოდან გაძევებული არალეგალური მიგრანტების მისაღებად. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი იმედოვნებდა, რომ გააფორმებდა შესაბამის შეთანხმებებს გასულ შემოდგომაზე, მაგრამ მოლაპარაკებები შეფერხდა, რადგან ბრიტანეთის ხელისუფლებამ რუანდაში არალეგალი მიგრანტების გაგზავნა ჯერ ვერ შეძლო.

# „და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“

## გვაქვს დასაყრდენი, რომ წინ აღვუდგეთ დასავლეთიდან მომდინარე ჩირქსა და ბალღამს

**როგორ, როგორ?! რას გვაძალეგენ ისინი? დიახ, ისინი გვაძალეგენ და თითქოს არც გვაძალეგენ იმას, რაზედაც პავლე მოციქული ბრძანებს: „ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს; ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცთომის საკადრის სასჯელს. და რაკი იუკადრისეს გონებით ღმერთის წვდომა, ამიტომაც უჯერო საქმეთა საქმნელად მისცა ღმერთმა ისინი უკუღმართ ვნებას“ (რომაელთა მიმართ, I, 26-28).**

მეხსიერების სიღრმიდან ამოდის რაღაც თავბრუდამხვევი, იდუმალი, სიამოვნების მომგვრელი, საქართველოს ისტორიული წარსულიდან.

**ხალხური:**

**„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი დადგა
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.**

**ან აკაკი:**

**„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხროს მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?“**

ან კიდევ, იმავე აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“:

„ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაზარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აზარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვნენ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო: ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის, და გაზრდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში“.

ღმერთო დიდებულო, საიდან ამოტივტივდა ცნობიერებაში საქართველოს წარსული, რა ძალამ მანატრებინა ჩვენი ეს რაინდული ყოფა-ცხოვრება?! ისევ და ისევ: მანატრებინა იმან, რომ მსურს, დავინახო ძალა, რომელიც წინ აღუდგება ბიწიერებას, რომელმაც საზურველი მოიხადა და ლომისტანიან და არწივისთავიან ურჩხულად მოგვევლინა.

**როდესაც წარსულზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს შორეული წარსული, რადგან რაც უფრო შორეულია ეს წარსული, მით უფრო მომაჯადოებელია, მით უფრო მშვენიერია ის, როგორც ამას გალაკტიონ ტაბიძე ამბობს: „გინახავს ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“ ანუ: რაც უფრო შორიდან ვუმზერთ ამ მთებს, მით უფრო დაბინდულ ქლიავის ფერში იმოსებიან ისინი...**

ნოვალისისთვის დროსა და სივრცეში ყველა დაშორებული ეპოქა და საგანი ხდება რომანტიკული მიმზიდველობის სათავე: „ყველაფერი შორეული პოეზიაში გარდაისახება. შორეული მთები, შორეული ადამიანები, შორეული შემთხვევები და ა. შ. ყველაფერი ხდება რომანტიკული. ღამისა და ბინდის პოეზია“.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ შემოვიტანეთ ისეთი სიტყვა, როგორიც „რომანტიზმია“. „თუმცა ამ სიტყვაში რაღაც განუსაზღვრელობაა, მაგრამ სადაც საქმე ეხება დიდ ფენომენებს, უდიდეს მოძრაობებს, არაფერი არ არის უფრო ზუსტი, ვიდრე განუსაზღვრელი სიტყვა“ – ჯოვანი პაპინის ეს სიტყვები აღებული მაქვს კარლ შმიტის „პოლიტიკური რომანტიზმიდან“...

ჩვენი წერილისთვის სწორედაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუ როგორ ესმის „რომანტიზმი“ მე-20 საუკუნის ისეთ დიდ მოაზროვნეს, როგორიც კარლ შმიტია. ჩამოთვლის რა ისეთ ობიექტებს, მაგალითად, „შუა საუკუნეებს“, „ისტორიული ციხის ნანგრევებს“, „მთვარის შუქს“, „ჩანჩქერს“ და ა. შ., რაც ადამიანში აღძრავს რომანტიკულის გუნებ-განწყობას, მისი აზრით, აქ მთავარია არა რომანტიკული ობიექტები, არამედ რომანტიკული სუბიექტის არსებობა, რომელსაც შეუძლია, რომანტიკულად აღიქვას ეს ობიექტები, განსხვავებით იმისგან, ვისაც ამისი უნარი არ შესწევს. სწორედ ასეთ სუბიექტებს ძალუძთ, მოახდინონ, მაგალითად, რევოლუციის ან მის ჩამხშობთა რომანტიზება, ე. ი. ფაქტობრივად აწარმოონ „პოლიტიკური რომანტიზმი“.

**ახლა შმიტისეულ „რომანტიკული სუბიექტის“ ცნებას თუ გავაფართოებთ და გადავიტანთ ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურად უმთავრეს და უმეტეს ნაწილზე, მივიღებთ უწმინდესი ტრადიციების დამცველთა მოძრაობას, რომლებიც ჩვენი სახელოვანი წარსულის (თამარ მეფე, თორნიკე ერისთავი და ა. შ.) რომანტიზებას ეწევიან და უპირისპირდებიან ღვარცოფად მოვარდნილ გარყვნილებას.**

**იგივე საზრუნავი გასჩენია დღეს მსოფლიოს ქრისტიანობას. „და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (სახარება იოანესი, I, 5).**



**ვიქტორ რცხილაძე**



# ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები და დედაუნივერსიტეტის გამოცდილება

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პერსონალის მეშვიდე საერთაშორისო კვირეულს მასპინძლობს, რომელშიც 16 ქვეყნის 39 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები მონაწილეობენ.**

5 დღის განმავლობაში კვირეულის მონაწილეები უნივერსიტეტების ეფექტიანად მართვის პროცესში ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრებენ. ინსტიტუციების ცალკეული აკადემიური ერთეულები განიხილავენ თუ რა ძირითადი პრიორიტეტები გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით. ასევე, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას და თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრებენ.

კვირეულის გახსნის ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა ისაუბრა უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე და მის როლზე ქართული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებაში.

**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეასრულა და დღესაც ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებაში. მას ჰყავს მრავალი თაობა პროფესიონალი კურსდამთავრებულების, რომლებიც მეტწილად განსაზღვრავენ ქვეყნის ცხოვრებას“,** – განაცხადა **ერეკლე ასტახიშვილმა.**

ღონისძიებაზე წარმოდგენილი პრეზენტაციების ძირითადი თემა არის საუნივერსიტეტო საერთაშორისო თანამშრომლობათა შენარჩუნება და მდგრადობა. მონაწილეები კოლეგებს გააცნობენ თუ რა ძირითად პრინციპებს იყენებენ, რომ თანამშრომლობა იყოს მდგრადი, მრავალწლიანი, ორმხრივად ხელსაყრელი და მომგებიანი.

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, თეა გერგედავას ინფორმაციით, თსუ-ს პერსონალის საერთაშორისო კვირეულისადმი პარტნიორი უცხოური უსდ-ების მხრიდან დიდი ინტერესის გამო, ღონისძიება თსუ-ში უკვე წელიწადში ოთხჯერ ტარდება: **„უცხოელ კოლეგებს აინტერესებთ მობილობის და გაცვლითი პროგრამების დაგეგმვის, ორგანიზებისა და მართვის ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც ჩვენ ამასობაში დაგვიგროვდა, კოლეგები ასევე ინტერესდებიან გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის თსუ-ს მიერ შემუშავებული ელექტრონული პორტალით mobility.tsu.ge, რომელიც გვეხმარება, რომ პროგრამების დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მივიღოთ მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე.“**

# ახალგაზრდული მოძრაობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორთან ია თიკანაძესთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.**

მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიასთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტების მომზადებას, პროექტის „ახალგაზრდული მოძრაობები საქართველოში: 1920-იანი წლები“ ფარგლებში წიგნი-ალბომის გამოცემას.

თსუ რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, **„ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერითა და ორგანიზებით არაერთი საინტერესო ახალგაზრდული კონფერენცია ჩატარდა. ფრიდრიხ ებერტის ფონდი იყო ერთ-ერთი პირველი ფონდი საქართველოში, რომელმაც ამ მიმართულებით დაიწყო საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში და მიხარია, რომ მათთან კიდევ უფრო ვაღრმავებთ თანამშრომლობას,“** – განაცხადა **ჯაბა სამუშიამ.**

მემორანდუმის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება; ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ქართული ახალგაზრდული ორგანიზაციების შესწავლისკენ.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერების სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების გერმანულ არქივებში მოძიება და გამოქვეყნება.**

# ქართული ხორბალი – კულტურის ძეგლი

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ქართული მარცვლეული კულტურისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ღონისძიება გახსნა. სამეცნიერო კონფერენცია და გამოფენა: „ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო კულტურა და თანამედროვეობა“ ქართული ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის დღეს ეძღვნება.**

თსუ რექტორმა ისაუბრა ქართული ხორბლის და სხვა აგრარული კულტურების მრავალფეროვნებაზე, მათი სამეცნიერო შესწავლის მნიშვნელობაზე. **„ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია და გამოფენა ეწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ეძღვნება ქართულ ხორბალს და საქართველოს აგრარული ისტორიის საკითხებს. ჩვენი მიზანია ქართული ხორბლის ენდემური ჯიშების პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ქვეყანამ იუნესკოს წინაშე დააყენა საკითხი ქართულ ხორბალს კულტურული ძეგლის სტატუსი მინიჭებოდა,“** – განაცხადა **ჯაბა სამუშიამ.**



თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა XVI-XVIII საუკუნით დათარიღებული ძველი საბუთები და ეტრატები, ფოტოები და ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, მარცვლეულის უნიკალური ჯიშები და ეთნოგრაფიული მასალა, ასევე ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და წიგნები.

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# გადაწყვეტილება

**არბიტრაჟის სახელით**

**საქმე №01-595/2023**

ქ. თბილისი 22 თებერვალი 2024 წელი

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე** – თეა ხამხაძე
**საარბიტრაჟო სხდომის მდივანი** – ქეთევან დუმბაძე

**მოსარჩელე** – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
**წარმომადგენელი:** ხათუნა ტაბლიაშვილი

**მოპასუხე:** შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალი"
**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია.

**საქმის განხილვის ფორმა:** ზეპირი მოსმენით

სარეზოლუციო ნაწილი:
ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

გადავწყვიტე:
1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს" სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ საეკისროს 898 262,58 ლარის გადახდა.
3. მოპასუხე შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალს" დაეკისროს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელის 19149,22 ლარის და საჯარო რეესტრის მომსახურებისათვის გადახდილი 13 ლარის გადახდა.
4. დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ნივთი:
საკადასტრო კოდი: 74.02.13.088; მისამართი: ყაზბეგის რაიონი სოფელი აჩხოტი.
5. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით სრულად არ დაკმაყოფილდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მოთხოვნა, აღსრულება მიექცეს მოპასუხის კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან სავალდებულო არ არის, რომ ბანკმა პირველ რიგში იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნიდან. ბანკი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს შპს „ლარსის მარცვლეულის ტერმინალის" კუთვნილ სხვა ქონებაზე.
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# გადაწყვეტილება

**არბიტრაჟის სახელით**

**საქმე №01-637/2023**

ქ. თბილისი 19 მარტი 2024 წელი

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე**-თეა ხამხაძე
**საარბიტრაჟო სხდომის მდივანი** - ქეთევან დუმბაძე

**მოსარჩელე-** ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
**წარმომადგენელი:** ხათუნა ტაბლიაშვილი

**მოპასუხე:** შპს „რაიმონდ ბაკურიანი", შპს „მედეა", გურამ გოგოლაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია.

**საქმის განხილვის ფორმა:** ზეპირი მოსმენით

სარეზოლუციო ნაწილი:
ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

გადავწყვიტე:
1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. შპს „რაიმონდ ბაკურიანს", შპს „მედეას" და გურამ გოგოლაძეს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ დაეკისროთ:
06.10.2020 წლის №615.2215895.001-002 ხელშეკრულების საფუძველზე 1 698 960,29 ლარის გადახდა;
06.10.2020 წლის №615.2215895.001-003 ხელშკერულების საფუძველზე 2 437 750,08 ლარის გადახდა;
09.10.2020 წლის №615.2215895.001-004 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე 1 316 046,75 ლარის გადახდა;
3. ბანკის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის - 30 000 ლარისა და უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ნივთის შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების საფასურის 13 ლარის გადახდა;
4. დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს იპოთეკით დატვირთული შემდეგ მისამართზე მდებარე უძრავი ნივთი: ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, „დიდველი" ს.კ. 64.10.09.262.
5. იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით სრულად არ დაკმაყოფილდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მოთხოვნა აღსრულება მიექცეს მოპასუხეთა კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან განისაზღვროს, რომ არ არის სავალდებულო ბანკმა პირველ რიგში იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნებიდან, ბანკი უფლებამოსუილია თავისი შეხედებულებისამებრ იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს მოპასუხეთა სხვა ქონებაზე.
6. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

**◉ ლეგიონერი**

# ოკეანის გაღმა-გამოღმა




ლეგენდარული ქართველი კალათბურთელი **ზაზა ფაჩულია** NBA-ში **სანდრო მამუკელაშვილის** კარგ თამაშს გამოეხმაურა.

როგორც ფაჩულიამ სოციალურ ქსელში დაწერა, სანდრომ დაამტკიცა, რომ NBA-ს დონის მოთამაშეა.

**„ყველამ მიიღო მესიჯი, პატარა ძმაო. აჩვენე მზადყოფნა და სეზონი მაგრად დაასრულე. შენ ამ ლიგას ეკუთვნი",** – დაწერა სოციალურ ქსელში ფაჩულიამ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში სანდრო მამუკელაშვილის სათამაშო დრო გაიზარდა და შანსიც გამოიყენა. მან სეზონის ბოლო მატჩში თავი 18 ქულით და 8 მოხსნით გამოიჩინა.

* * *

**„ლენოვო ტენერიფეს" კალათბურთელი გიორგი შერმადინი ლიგა ენდესას 29-ე ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ეს ჯილდო მიმდინარე სეზონში მეორედ მოიგო.**

„ბილბაოსთან" შეხვედრაში ქართველმა ცენტრმა 25 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა, რითაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 43-ს გაუტოლდა, რაც ტურში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა.

გიორგი მიმდინარე სეზონში ტურის MVP მე-17, 25-ე, 26-ე და 29-ე ტურებში გახდა, კარიერაში კი 22-ედ. აღსანიშნავია, რომ ის ამ თვალსაზრისით კარგა ხანია რეკორდსმენია, შესაბამისად, ახლა თავისივე რეკორდი გააუმჯობესა.

# კაპიტნის სამკლავურით



„ვალენსიას" მთავარმა მწვრთნელმა რუბენ ბარახამ „ოსასუნასთან" მატჩის (1:0) შემდეგ ანტე ბუდიმირის პენალტზე ისაუბრა, რომელიც მისი აზრით, მსაჯს არ უნდა დაენიშნა.

„ღამურების" თავკაცმა აღნიშნა, რომ გუნდის ახალმა კაპიტანმა მამარდაშვილმა ბუდიმირს პენალტის მშვიდად შესრულების საშუალება არ მისცა.

**„არ მგონია, რომ პენალტი იყო, ძალიან გავბრაზდებოდი გოლი რომ გაგვეშვა, მსაჯი ძალიან მკაცრი იყო, თუმცა, რაღაცების კონტროლი ჩვენ არ შეგვიძლია. გიორგი ბოლომდე დაელოდა ბუდიმირს, რადგან ის ყოველთვის აყოვნებს პენალტის შესრულებას და გიორგიმ მას მშვიდად დარტყმის საშუალება არ მისცა. როგორც წესი, ბუდიმირის დონის მოთამაშე ასეთ შეცდომებს არ უშვებს, მაგრამ გაგვიმართლა, რომ გიორგიმ ბურთის დაჭერა შეძლო",** – თქვა ბარახამ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილს ლა ლიგის მიმდინარე სეზონში 31 მატჩში 32 გოლი აქვს გაშვებული და კარი მშრალად 12-ჯერ შეინახა. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი ტურია ის ბურთს არ უშვებს, ამას თუ დავუმატებთ საქართველოს ნაკრებში ჩატარებულ ორ მატჩს, ბოლო 5 შეხვედრაა გოლი არ გაუშვია. ქართველ მეკარეს „ვალენსიაში" სულ 94 მატჩი აქვს გამართული.

„ვალენსია" 47 ქულით მეშვიდე ადგილზეა, მომდევნო ტურში 20 აპრილს კი „ბეტისს" უმასპინძლებს, რომელსაც მხოლოდ 2 ქულით უსწრებს.

**◉ ოქტაგონზე**

# ბოლო წამზე

**გუშინ UFC-300-ზე საოცარი ბრძოლა გაიმართა. მაქს ჰოლოვეიმ, რომელმაც მსუბუქ წონაში გადაინაცვლა, ჯასტინ გეიჯის წინააღმდეგ იჩხუბა და მისი დამარცხება დრამატულად, ბოლო წამზე შეძლო, ამ გამარჯვებით კი ამერიკელი მებრძოლი BMF პრესტიჟულ ტიტულს დაეუფლა.**

ეს ბრძოლა საინტერესო იყო ქართველთათვის, რადგან სწორედ ჰოლოვეის წინააღმდეგ მოუწევს დაპირისპირება ილია თოფურიას. ქართველი მებრძოლი დარბაზში იმყოფებოდა და მაქსის გამარჯვების შემდეგ მასთან ჩხუბის სურვილიც გამოთქვა.



**„ყველაფერი ნათელია. ჩემს მომდევნო ბრძოლას ჰოლოვეის წინააღმდეგ ჩავატარებ. მას ვურჩევდი, რომ ამ დღით ისიამოვნოს, რადგან ჩემთან ჩხუბის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება. დღევანდელ გამარჯვებას კი ვულოცავ",** – განაცხადა თოფურიამ.

მატადორის კომენტარს ჰოლოვეიც გამოეხმაურა. მის საუბარში ქართველის მიმართ საკმაოდ დადებითი განწყობა შეინიშნებოდა:

**„თოფურიას ემოცია ჩემს ნოკაუტზე ვნახე. ბევრი ამბობს ეშინიაო, მე კი ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ილია მსოფლიოს ჩემპიონია, მის მიმართ ბევრი კითხვები მაქვს და პასუხის მიღება ბრძოლაში მინდა. ჩემთან ჩხუბის სურვილი გამოთქვა და ჩვენი პოტენციური დაპირისპირების შესახებ მისი კომენტარი მომეწონა. დანარჩენი ყველაფერი ჩხუბში გამოჩნდება",** – თქვა ჰოლოვეიმ.

# გლდანის პატარა ტბის ახალი სიცოცხლე



**თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გლდანის პატარა ტბის გარშემო რეკრეაციულ სივრცეს აწყობს. მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მერის მოადგილე ირაკლი ზენდელიანთან ერთად გაეცნო.**

პროექტი ითვალისწინებს ტბის გარშემო საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკების მოწყობას.

**„პროექტის ფარგლებში მთლიანად მოწესრიგდება ტბის გარშემო არსებული სივრცე, რომელიც დაახლოებით 4 ჰექტარია, ასევე, ტბა გაიწმინდება, ტბის ირგვლივ მოეწყობა სასეირნო ბილიკი, იქნება დასასვენებელი და სავარჯიშო სივრცეები, მოეწყობა საკალათბურთო და საფეხბურთო მოედნები. ვფიქრობ, გლდანელებისთვის იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საინტერესო სივრცე. აღნიშნული სამუშაოები მომდევნო წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს“,** – განაცხადა კახა კალაძემ. ტერიტორიაზე დაირგვება სხვადასხვა სახეობის ნერგი, დაითესება ბალახი, მოეწყობა სარწყავი სისტემები, მოეწყობა ტერასული გამწვანება, რომელიც ბუნებრივად ერწყმის არსებულ ლანდშაფტს. პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარს შეადგენს. რეკრეაციული სივრცის მოწყობის სამუშაოები 2025 წლის ზაფხულში დასრულდება.

## საქართველოში უმუშევრობა ბოლო 20 წლის მინიმუმზეა



**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოდელირებული შეფასებით 2023 წელს საქართველოში უმუშევრობა 11,7%-ია და ბოლო 20 წლის მინიმუმზეა.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოდელირებული შეფასებით 2022-2023 წლებში უმუშევრობის დონემ საქართველოში 11,7%-ი შეადგინა. მონაცემებს მსოფლიო ბანკი აქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის უმუშევრობის ეს დონე საქართველოს 20-წლიან მინიმუმს წარმოადგენს და 10 წლის განმავლობაში უმუშევრობის მკვეთრ შემცირებაზე მიუთითებს. კერძოდ, საქართველო იმ 13 ქვეყანას შორისაა, სადაც ყველაზე მეტი პროცენტული პუნქტით შემცირდა 10 წელიწადში უმუშევრობა.

## შრომის ინსპექციის სამსახურის რეგიონული ოფისი ქუთაისში



**ქუთაისში შრომის ინსპექციის სამსახურის რეგიონული ოფისი გაიხსნა. დაწესებულება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსთან ერთად, ოფიციალურად გახსნა. მიხეილ სარჯველაძემ, რეგიონული ოფისების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ყველა სახის დარღვევაზე, დროული რეაგირება და საჭირო ღონისძიებების ეფექტურად გატარება მოხდება.**

შრომის ინსპექციის სამსახურის ქუთაისის ფილიალში, ოცამდე პირია დასაქმებული, რომლებიც ადგილობრივებს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე უფლებების დაცვის მიმართულებით გაუწევენ დახმარებას.

## სამი თორმეტსართულიანი კორპუსი დევნილთათვის



**ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, 720 დევნილი ოჯახისთვის სამი, 12-სართულიანი კორპუსი შენდება. საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გაეცნო. მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, რომ დევნილთა განსახლება სახელმწიფოს პრიორიტეტია და დევნილი ოჯახებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ქვეყნის რამდენიმე ქალაქში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად, მიმდინარეობს.**

პროექტის ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საცხოვრებელ ფართს, ჯამში, 13 000 დევნილ ოჯახს გადასცემს. აქედან, 7 000-ზე მეტ ოჯახს ახალაშენებულ კორპუსებში, გარემონტებული ბინები გადაეცემა, ხოლო 6 000-მდე ოჯახი, „სოფლად სახლის“ პროგრამის ფარგლებში განსახლება. ორივე პროგრამის ბიუჯეტი, ჯამში, დაახლოებით, 900 მილიონ ლარს შეადგენს.

## 7 წლის ბავშვის ჩვენებამ მკვლელობის საქმე თავდაყირა დააყენა

**29 წლის ნატო ხელაძე მცირეწლოვანი შვილის თვალწინ, სასტიკ დანაშაულს იბრალებს– ჰყვება, რომ მეუღლე ოჯახური კონფლიქტის დროს, დანის რამდენიმე დარტყმით მას შემდეგ მოკლა, რაც შვილების ჩამორთმევით დაემუქრა. ქალმა სამართალდამცველებს არჩადენილი დანაშაული დეტალურად აღუწერა, რის შემდეგაც ის მკვლელობის ადგილზე დააკავეს.**

**დღე მეორე – სასამართლოში ნატო ხელაძე მკვლელობას უარყოფს. სავარაუდოდ, დაკავებულ ქალს არავინ დაუჯერებდა, რომ არა მისი 7 წლის შვილის ჩვენება. 7 წლის ბიჭის ნათქვამმა გამოძიება თავდაყირა დააყენა.**

**„ჩვენთან სტუმრები იყვნენ, დედა მამას ეჩხუბებოდა, მამა დაწოლილი იყო. ბიძიამ ფეხი დაარტყა ორჯერ მას თავში. სტუმრები წავიდნენ, სახლში დავრჩით მე დედიკო და მამიკო. მამამ დედას უთხრა, რომ პოლიციაში მივდივარ და ვეტყვი, რომ მირტყამდნენო, დედა ეუბნებოდა, არ წახვიდეო. ამ დროს მან დედას ხელი დაარტყა. მალევე ჩვენთან მოვიდა მახო ბიძია, რომელიც მიუახლოვდა ძირს დაწოლილ მამას და დადგა მუხლებზე და მამიკოს უთხრა, ხომ გითხარი, გოჭივით დაგკლავო და დანა დაარტყა გულში, მამა აღარ მოძრაობდა, შემეშინდა და დავიწყე ტირილი...“,** – ამბობს ბავშვი ჩვენებაში.

**მოკლულის შვილი და 13 წლის გერი მინდობით აღზრდაში გადაიყვანეს, ბავშვების ჩვენებით კი, გამოძიებამ რეალური სურათი აღადგინა. სამტრედია, ბარათაშვილის ქუჩა – მალხაზ გოგია სახლში ცოლთან, შვილთან და 13 წლის გერთან ერთად, 2 წლის განმავლობაში ქირით ცხოვრობდა. ცნობილია, რომ მამაკაცი მეუღლეზე და მის 13 წლის გოგონაზე ძალადობისთვის სასჯელს იხდიდა. ოჯახური ძალადობის დროს, ნატო ხელაძის ერთ-ერთმა ძმამ სიძე წარსულშიც დაჭრა და ისიც ნასამართლევია.**

**...5 ჭრილობა გულ-მკერდის არეში – გარდაცვლილის სხეულზე რამდენიმესაათიანი ცემის კვალიც აღმოაჩინეს. 32 წლის მალხაზ გოგიას მკვლელობის ბრალდებით, მისი ცოლისძმა, მალხაზ ხელაძე დააკავეს. ჯგუფური ძალადობის და ცრუ ჩვენებისთვის აიყვანეს მეორე ძმა, ძმისშვილი და კიდევ ერთი პირი. მალხაზ ხელაძეს მკვლელობის გასამართლებლად საკუთარი ვერსია აქვს, თუმცა არაფერს ამბობს, რატომ დაიბრალა დამ მისი დანაშაული. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულთა რიცხვი გაიზარდოს. მას შემდეგ, რაც სიმართლე გაირკვა, ნატო ხელაძემ განმეორებითი ჩვენება მისცა და სიმართლე თქვა. ადვოკატი ახლა დაკავებული ქალის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. პროკურორი ბრალდებულთა წრის გაფართოებასთან ერთად, არ გამორიცხავს, რომ მოკლულის მეუღლე პატიმრობიდან გათავისუფლდეს. 32 წლის მალხაზ გოგია ფოთში დაკრძალეს. მისი ოჯახი დარწმუნებულია, რომ მამაკაცი ჯგუფურად მოკლეს. შვილმკვდარი დედა დამნაშავეების მკაცრად დასჯას ითხოვს.**

# ორსულთა მეთვალყურეობას მხოლოდ 170 კლინიკა განაგრძობს

**ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი 370 დაწესებულებიდან ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნები მხოლოდ 170-მა დააკმაყოფილა. შესაბამისად, ანტენატალური ანუ ორსულობის პერიოდისთვის საჭირო მომსახურებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 170 კლინიკა ახორციელებს.**

ეს მონაცემები ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ გაბუნიამ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში, გადაცემა „ბიზნესპარტნიორში“ მოიყვანა.

**„გასულ წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით სამინისტრომ განახორციელა ყველა ანტენატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების ადგილზე მონიტორინგი. ექსპერტები ადგილზე აფასებდნენ ამას. აქამდე იყო 370 დაწესებულება, ახლა უკვე ხარისხის მოთხოვნები დააკმაყოფილა 170-მა დაწესებულებამ, სადაც ნამდვილად უმაღლესი ხარისხის სერვისია.**

**ამდენად, ქალბატონებისთვის ორსულობის დროს მნიშვნელოვანია, რომ ამ სერვისით ისარგებლონ. შემდეგ მოდის პერინატალური სერვისი, ანუ სამშობიაროების ქსელი, სადაც ხარისხის მაჩვენებლები და ინდიკატორები დიდი ხანია ყურადღების ქვეშაა და ექსპერტები გოლომდე არიან ჩართული ამ პროცესში, რათა ქალმა უსაფრთხოდ იმშობიაროს და ბავშვმაც მიიღოს მაღალი ხარისხის სერვისი. შემდეგ ეს გრძელდება პირველად ჯანდაცვაში. პირველადი ჯანდაცვის ქსელი რაც მეტად გაძლიერდება, მით მეტად გვექნება ადრეული დიაგნოსტიკა და მოიტანს იმ შედეგს, რაც გვინდა დავინახოთ როგორც ეკონომიკური და სოციალური, ისე პიროვნული კუთხით“,** – განაცხადა თამარ გაბუნიამ.



შეგახსენებთ, რომ **მიმდინარე წლიდან ქალებს სახელმწიფო, გინეკოლოგთან კიდევ ერთ, მეცხრე ვიზიტს უფინანსებს, რომელიც მშობიარობის შემდგომ პერიოდზეა გათვალისწინებული. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბინაზე გაწერის შემდეგ, 2 კვირის განმავლობაში, დედას შეუძლია, საცხოვრებელთან ახლოს, რეგისტრაციის მიუხედავად, მისთვის სასურველ ნებისმიერ ამბულატორიულ დაწესებულებას მიმართოს და უფასოდ მიიღოს გინეკოლოგის კონსულტაცია. ორსულებისთვის სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი სიახლე ამოქმედდა – მშობიარობამდე პერიოდში, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 8 ვიზიტიდან ორის მიღება ქალს ონლაინ რეჟიმში შეუძლია. ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, რომ შეირჩა ისეთი ვიზიტები, რომლებიც კონსულტაციის დისტანციურად მიღების შესაძლებლობას იძლევა.**




# ონლაინგამოფენა დიმიტრი ყიფიანის საიუბილეოდ

**დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 210 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა საკუთარ ვებგვერდზე მულტიმედიური გამოფენა მიუძღვნა.**

ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი 1814 წლის 14 (26) აპრილს დაიბადა. საქართველოს ეროვნული არქივი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საინტერესო მასალას ინახავს.

ონლაინგამოფენაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, წერილობითი დოკუმენტები და პერიოდული გამოცემები, რომლებიც დიმიტრი ყიფიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს ასახავს. მათ შორისაა შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნების დოკუმენტები, მისი წერილი ეგზარქოს პავლესადმი და სხვა დოკუმენტები.

# რობერტ სტურუა: ისტორიულად საქართველოში ნიჭიერ ხალხს ებრძვიან უნიჭოები!



**ისტორიულად გრძელდება ყველაზე დიდი კონფლიქტი საქართველოში – ნიჭიერ ხალხს ებრძვის უნიჭო ხალხი,** – ამის შესახებ რეჟისორმა **რობერტ სტურუამ** საზოგადოება „ქართულის“ დაფუძნებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ადამიანებს ებრძვიან უნიჭო ადამიანები, თუმცა საბოლოოდ ნიჭი მაინც იმარჯვებს.

**„ვეფხისტყაოსანი სად გაქრა? იცით რამე შოთა რუსთაველზე? რატომ არ იცით? იმიტომ, რომ ეზიზღებოდა იმ უნიჭო ხალხს. მატიანეში როგორ არის ნახსენები, ან სად მოკვდა, ვიცით?! ჰოდა, ნუ გეშინიათ, ნიჭი მაინც გაიმარჯვებს“,** – განაცხადა **რობერტ სტურუამ.**

# ვიეტნამელ მაგნატს 12-მილიარდიან თაღლითობის საქმეზე სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს

**უძრავი ქონების ვიეტნამელ მაგნატს, ქვეყნის ისტორიაში თაღლითობის ყველაზე დიდ საქმეში მონაწილეობისთვის, სიკვდილით დასჯა მიესაჯა. საქმე ეხება $12.46 მილიარდის ფინანსურ თაღლითობას, რომელიც ვიეტნამისთვის რეკორდულია.**

ტრუონ მაი ლანი უძრავი ქონების დეველოპერ Van Thinh Phat Holdings Group-ის თავმჯდომარეა. ლანი სასამართლომ დამნაშავედ რამდენიმე ბრალდებაში ცნო, მათ შორის: ქრთამის აღება, სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვა, საბანკო წესების დარღვევა და თანხის გაფლანგვა.

67 წლის ლანი 2022 წელს დააკავეს. ვიეტნამელი მაგნატის წინააღმდეგ წაყენებული მთავარი ბრალდება 2018 წლის თებერვლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე, საიგონის კომერციული ბანკის თანხების გაფლანგვას შეეხებოდა.

**ვიეტნამის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ლანს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება 15 დღის განმავლობაში აქვს. თანხის გაფლანგვის ბრალდებისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის მიუხედავად, ლანს ორ სხვა საქმეზე – საბანკო წესების დარღვევა და ქრთამის შეთავაზება – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**



# პარიზის ფესტივალი თემურ ბაბლუანის წიგნის პრეზენტაციით დაარულდა

**2024 წლის 12 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით საქართველოს მწერალთა სახლი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით პარიზის წიგნის ფესტივალში ეროვნული სტენდით პირველად მონაწილეობდა.**

მათივე ინფორმაციით, ფესტივალის დახურვის ღონისძიებაზე მწერალმა და კინორეჟისორმა თემურ ბაბლუანმა ევროპაში ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელ სოფიო ბაბლუანთან ერთად წარადგინა თავისი წიგნის – „მზე, მთვარე და პურის ყანა“ – ფრანგული თარგმანი. წიგნმა ღონისძიებაზე დამსწრეთა დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია. ამ ღონისძიებით საქართველოს მწერალთა სახლმა პარიზის წიგნის ფესტივალში მონაწილეობა წარმატებით დაასრულა.




აღსანიშნავია, რომ თემურ ბაბლუანის წიგნს ფრანგულ პრესასა და ლიტერატურულ წრეებში ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა და ავტორის მიმართ ახლა არა მხოლოდ როგორც ცნობილი კინორეჟისორის, არამედ როგორც მწერლის მიმართაც ძალიან დიდი ინტერესია. წიგნს საფრანგეთში უკვე ჰყავს მკითხველი.

ბოლო საფესტივალო დღის ღონისძიებებს დაესწრნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში გოჩა ჯავახიშვილი და ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლები.

# გიორგი კალანდია: ვარ ევროპელი, მინდა ევროპაში – ამის მიღწევა მხოლოდ ლოზუნგებით შეუძლებელია!

**ისტორიკოსმა, ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კალანდიამ გადაცემაში „იმედი LIVE“, პოლონეთიდან ჩართვისას, 17 აპრილს კრაკოვში დაგეგმილი გამოფენის – „ოქროს საწმისი – ქართული ხელოვნება“ შესახებ ისაუბრა.**



საზოგადოებაში ქართული კულტურის შესახებ „თემების გადაფარვა ხდება“, როგორიც არის თუნდაც, აღნიშნული გამოფენა. მან იმედი გამოთქვა, რომ ახლად დაფუძნებული „საზოგადოება ქართული“, რომლის საინიციატივო ჯგუფის წევრი თავადაც არის, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის საკითხების წინ წამოწევას.

**„დაახლოებით, 10 ქართულ მუზეუმთან ერთად გამოფენაში მონაწილეობს ევროპის ყველაზე დიდი მუზეუმები, ეს არის ლუვრი და ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმი. ამ გამოფენის ლაიტმოტივია, რომ საქართველო არის ევროპული ცივილიზაციის აკვანი.**

**აი, როდესაც ასეთი თემების გადაფარვა ხდება და ამის სათანადოდ მიტანა ვერ ხერხდება საზოგადოებასთან, სწორედ ამიტომ მგონია, რომ შეიქმნა „საზოგადოება ქართული“ და მიზანიც ეს არის. ვარ ევროპელი, მინდა ევროპაში – ამის მიღწევა მხოლოდ ლოზუნგებით შეუძლებელია. ამას სჭირდება საქმე და ამ საქმეს აკეთებენ ის ინტელექტუალები, რომლებიც ხშირად ეკრანს მიღმა არიან დარჩენილი. თუმცა, თავისი დაუზოგავი, დაუღალავი შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწიან“...**

მისი თქმით, მიუხედავად ანგაჟირებული სიტუაციისა, ადამიანებმა უნდა იპოვონ ადგილი დიალოგისთვის.

**„დღეს პრეზენტაციაზე დავინახე ის სახეები, რომლებიც ჩემი მასწავლებლები იყვნენ და რომლებმაც ქართული ისტორიოგრაფია შექმნეს, ან ქართულ ლიტერატურაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. ამ ადამიანების წინა პლანზე გამოყვანა აუცილებელია. მართალი გითხრათ, ცოტა დაგვიანებული მგონია. თითქოს, ეს ადამიანები დავიწყებას მიეცნენ „დაბუსტული“ გმირებისა და ფსევდოავტორიტეტების გამო და მგონია, დავაგვიანეთ. ამიტომ აუცილებელია, მათი ავტორიტეტული სიტყვის წარმოჩენა. მათი ავტორიტეტული სიტყვა ეფუძნება არა ზედაპირულ რეკლამას, არამედ მათ მიერ წლების განმავლობაში გაწეულ დიდ შრომას. ვფიქრობ, ამ ადამიანების სიტყვა დიდ შედეგს გამოიღებს“,** – აღნიშნა კალანდიამ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 18 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6710; ევრო - 2.8357;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3243;
100 რუბლი - 2.8573; თურქული ლირა - 0.0824;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5702;
1000 სომხური დრამი - 6.7850

**ამინდი 17 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +26 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +33 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე +28 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge